მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა ინგლისური ენის გაკვეთილზე მე-11კლასში

/ კვლევის ანგარიში/

სსიპ სოფელ სორმონის საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ანა ქობულაძის კვლევის ანგარიში.

2018-2019 წ.



კვლევის სტრუქტურა

შესავალი ..... გვ 4

თავი I – ლიტერატურის მიმოხილვა .....გვ 6

თავი I I- საკვლევი საკითხის მიმოხილვა .....გვ 9

2.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ .....გვ 19

2.2 საკვლევი თემის აქტუალურობა.....გვ 20

2.3 პრობლემის ანალიზი .....გვ 22

2.4 კვლევის მიზანი .....გვ 24

თავი III. მეთოდოლოგია და საკვლევი კითხვები .....გვ 25

3.1. საკვლევი კითხვები: მთავარი შეკითხვა .....გვ 26

3.2. კვლევის სამიზნე ჯგუფები .....გვ 27

3.3. კვლევის განრიგი/ვადები .....გვ 28

თავი IV. კვლევის შედეგები

4.1 სტატისტიკური მონაცემები .....გვ 36

4.2 მონაცემთა ანალიზი .....გვ 39

4.3 ინტერვიუ დირექტორთან .....გვ 41

4.4 ძირითადი მიგნებები .....გვ 42

თავი V. ინტერვენციების აღწერა და მისი შედეგები

5.1 ინტერვენციების მიზანი .....გვ 43

5.2 ინტერვენციები .....გვ 43

5.3 ინტერვენციების შეფასება და შედეგები .....გვ 50

თავი VI. რეკომენდაციები და კვლევის შედეგები

6.1 რეკომენდაციები .....გვ 51

6.2 კვლევის შედეგები .....გვ 53

თავი VII. დასკვნა

7.1 დასკვნა .....გვ 54

7.2 კოლეგებთან გაზიარება .....გვ 55

ბიბლიოგრაფია .....გვ 56

დანართი .....გვ 57

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ. სოფელ სორმონის საჯარო სკოლის მასწავლებლის ანა ქობულაძის მიერ განხორციელებულ კვლევის ანგარიშს.

განათლება: education - ინგლისურად, образование - რუსულად, éducation - ფრანგულად, Ausbildung - იწერება და ჟღერს სხვადასხვანაირად, ხოლო არსი და დანიშნულება - ერთი აქვს, მიზნები და ამოცანები კი - შეიძლება განსხვავდებოდეს. განათლება - პროცესია, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება თაობიდან თაობაში გადასცემს თავის კულტურულ მემკვიდრეობას - დაგროვებულ ღირებულებებს, ცოდნასა და უნარ - ჩვევებს. **" მთავარი ძალა, რაც გამარჯვებას ანიჭებს ერს საარსებო ბრძოლაში, არის ცოდნა, განათლება."** *(იაკობ გოგებაშვილი)* საუკუნეების განმავლობაში და დღესაც მიმდინარეობს დისკუსია განათლების შესახებ - რას და როგორ უნდა ვასწავლიდეთ . ოცდამეერთე საუკუნის პირველსავე წლებში მოწინავე ქვეყნებმა თავიანთი საგანმანათლებლო სისტემების ახალ რეალობაზე მორგება დაიწყეს. შეიქმნა მოძარაობა " XXI საუკუნის უნარები", რომელში ჩართულმა ექსპერტებმაც, საჭირო უნარებს შორის სასიცოცხლოდ აუცილბლად მიიჩნიეს კრიტკული აზროვნება, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირება, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარის განვითარება. ისინი ხაზს უსვამენ იმას, რომ ამ უნარების ფლობა მხოლოდ წარმატების მისაღწევად კი არ არის აუცილებელი, არამედ მათ გარეშე მომავალში შესაძლოა ცხოვრებაც გაჭირდეს, სხვადასხვა მიზეზებით შექმნილი რთული პირობების გამო. აქედან გამომდინარე 21- ე საუკუნის მოსწავლეს ცოდნის გარდა, კარგად უნდა ჰქონდეს განვიათარებული მაღალი სააზროვნო უნარები, ფლობდეს შემოქმედებით, ანალიტიკურ და ლოგიკურ უნარებს , რაც დაეხმარება ინფორმაციის სწორად აღქმა-გააზრებასა და დასკვნების გამოტანაში, უნდა იყოს ინოვაციური, კრეატიული და გამომგონებელი. აზროვნებდეს კრიტიკულად და შეეძლოს პრობლემების გადაჭრა, გამოსიდოდეს თანამშრომლობა და კომუნიკაცია. მოახერხოს ტრანსფერი, კარგად ფლობდეს ტექნოლოგიებსა და უცხორ ენებს.

უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება, კერძოდ, ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი პიროვნების აღზრდას, რომელიც შეძლებს თავისი წვლილის შეტანას სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. უცხოური ენის სწავლების პრიორიტეტული მიზნებია მოსწავლეს:

- განუვითარდეს პლურილინგვური კომპეტენცია;
- განუვითარდეს სამეტყველო უნარები (მოსმენა, კითხვა, წერა, საუბარი) ორ უცხოურ ენაზე;
- გამოუმუშავდეს სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული კომუნიკაციის უნარი;
- ჩამოუყალიბდეს დადებითი განწყობილება ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და გააცნობიეროს იგი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინება;
- განუვითარდეს განსხვავებული კულტურული კონტექსტებისა და ტექსტების გაგების უნარი;
- მოემზადოს თანამოღვაწეობისათვის სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან;
- განუვითარდეს ენების ეფექტურად სწავლის უნარი.

ამ საგანმანათლებლო მიზნიდან გამომდინარე, უცხოური ენების სწავლება სკოლაში ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. (ესგ 2011-2016) ჩემ პირად ამოცანას ამ შეთხვევაში წარმოადგენს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, რაც ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია არამხოლოდ უცხო ენის სწავლებისას, არამედ ზოგადად ყველა სფეროში. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებებმა კი ცხადყო, რომ მოსწავლეებს სათანადოდ არ ჰქონდათ ეს უნარები განვითარებული და უჭირდათ ამ უნარების გამოყენება, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემად ამეღო მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება მოსწავლეებში, გამომეკვეთა პრობლემა და დამესახა ინტერვენციები.

ნაშრომი შედგება 7 თავისაგან:

I. თავში მოცემულია საკვლევი საკითხის აქტუალობა, კვლევის მიზანი, კვლევის სტრუქტურა და ძირითადი დასკვნები.
II. თავში მოცემულია ლიტერატურის მიმოხილვა სადაც განხილული იქნება ჩემს მიერ გაცნობილი ლიტერატურა, სხვადასხვა ავტორების, ცნობილი ფსიქოლოგების, განათლების სპეციალისტების (ბლუმის, პერკინსის და სხვათა) თეორიები.
III. თავი მოიცავს საკვლევის საკითხის კითხვებს, კვლევის სამიზნე ჯგუფს, კვლევის მეთოდებს.
IV. თავი ეხება კვლევის შედეგებს, მონაცემთა ანალიზს, ძირითად მიგნებებსა და ინტერვენციებს.
V. თავში განხილულია ინტერვენციების მეთოდების შეფასება.
VI. თავში აღწერილია რეკომენდაციები და შედეგები.
VII. თავი არის დასკვნა.

კვლევის ანგარიშს თან ახლავს ბიბლიოგრაფია და დანართები.

თავი I.

ლიტერატურის მიმოხილვა.

არსებული პრობლემის დასაძლევად მოვიძიე და გავეცანი სხვადასხვა ბეჭდურ და ელექტრონულ ლიტერატურას, სტატიებს, მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოებს, სხვის კვლევებსა და ნამუშევრებს. წარმოგიდგენთ მათ ანალიზს.

პირველ რიგში გავეცანი ეროვნული სასწავლო გეგმას რადგან, მის ერთ- ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება. მისი დასაწყისიდანაც „ სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული შინაარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას. “(უზნაძე დ.ესგ.2016) იკვეთება, რომ მოსწავლეს

თუ სურს გახდეს დამოუკიდებელი მსწავლელი, მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები და აღიზარდოს მომავლისათვის აუცილებელი უნარ- ჩვევებით, საჭიროა ის ფლობდეს მაღალ სააზროვნო უნარებს.

მუხლი 6. საშუალო საფეხურის მისისაა:

ა) საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით სისტემური ცოდნის კონსტრუირება;

ბ) მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომლესაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება , საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად. (ესგ.2018 წ გვ 5-6)

ესგ- ში გავეცანი **მუხლს 9.4** ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრონციპები:

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას და განსაზღვრავს ხუთ ძირითად საგანმანათლებლო პრინციპს, რომლებსაც უნდა დაეყდნოს სწავლა-სწავლების პროცესი. ეს პრინციპებია :

ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას.

მიღებული ინფორმაცია ცოდნად გარადაიქმნა მოსწავლის მიერ მისი აქტიური დამუშავების შედეგად. მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციიდან გამოარჩევს ცოდნის შენებისთვის (კონსტრუირებისთვის) მნიშვნელოვან ელემენტებს და ცოდნად გარადაქმნის შერჩეულ ინფორმაციას სხვადასხვა სააზროვნო ოპერაციის განხორციელების საფუძველზე.

ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინფორმაციის დამუშავება და ცოდნად გარდაქმნა წინარე ცოდნის საშუალებიტ ხორციელდება. წინარე ცოდნა განაპირობებს იმას, თუ მიწოდებული ინფორმაციიდან რა კომპონენტებს მიაქცევს ყურადღებას მოსწავლე და რის შწავლას შეძლებს იგი.

გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას. მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება ზრდის გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობებს.

დ) სწავლა-სწავლებაუნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა) სწავლის პროცესში მართებული ხერხებისა და მიდგომების გამოყენება წარმატებული სწავლის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. კონკრეტული მიზნის მისაღწევად განსახორციელებელ ქმედებათაგააზრებულად, განობიერებულად დაგეგმვა და კოორდინირება ზრდის მოსწავლის ქმედობაუნარიანობას, ეხმარება მას მიზნის ეექტიანად მიღწევასა და სიძნელეთა გადალახვაში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია დააფიქროს მოსწავლე იმ ხერხებსა თუ მიდგომებზე, რომლებსაც იგი გამოიყენებს მიზნის მისაღწევად და დაეხმაროს მათ შორის, საუკეთესოს აღმოჩენაში.

ე) სწავლა- სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების , ფაქტების , წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას : რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას : როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშანთვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა? (ესგ 2018 წ. გვ 11).

გავეცანი სახელმძღვანელოს „ **მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული სქემის გზამკვლევი“** ის მეორე ნაწილს, რომელშიც ნათლად არის ასახული კვლევის სტრუქტურა, თუ რა ეტაპებისაგან შედგება კვლევა. გამარკვია იმაში, თუ რა არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა და როგორ უნდა წარვმართოთ ის. მომცა ნათელი სურათი იმისა თუ რა განსხვავებაა საგანმანათლებლო და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებს შორის. რა ეტაპებისაგაბ შედგება ის და როგორ უნდა მოხდეს საკვლევი თემის განსაზღვრა. როგორ უნდა გადაამოწმოს მასწავლებელმა ის, თუ რამდენად სწორად აქვს შერჩეული საკვლევი თემა, როგორ აწარმოოს კვლევის დღიური, მოახდინოს ლიტერატურის შესწავლა, კვლევის მეთოდის შერჩევა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი. მასში კარგად არის წარმოდგენილი კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები და ის, თუ, როგორ უნდა განახრციელდეს თითოეული. როგორ უნდა გავაფარომოთ კვლევის ანგარიში და ბოლოს ნაჩვენებია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შეფასების რუბრიკა. აღნიშნული სახელმძღვანელო ძალან დამეხმარა სწორად დამეგეგმა და განმეხორციელებინა ჩემი კვლევა.

ასევე გავეცანი სახელმძღვანელოს **„ უცხოური ენების სწავლების საფუძვლები“** რომლის ავტორებიც არიან ნინო ფოცხელაური, ფატი რამიშვილი, ეკატერინე შავერაშვილი და მეგი გვასალია. აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია გზამკვლევის ფუქნცია იკისროს უცხოური ენის სწავლა სწავლებაში. მასში კარგად არის ახსნილი მაღალი სააზროვნო უნარების დაუფლების აუცილებლობა ენის შესაწავლის პროცესში, გამოკვეთილია ის, რომ უცხოური ენის სრულყოფილად დაუფლება მრავალმხრივი პროცესია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს როგორც ენის შემსწავლელის, ისე მასწავლებლისაგან. რომ ენის სწავლა/სწავლებისას უამრავი ელემენტია გასათვალისწინებელი და ეფექტური შედეგების მიღებას მხოლოდ ყველა ელემენტის სასწავლო პროცესში ჩართვა განაპირობებს.

საუბარია იმაზე, რომ უცხოური ენის გაკვეთილის მიზანს დღეს შესასწავლ ენაზე კომუნიკაცია და შესასწავლი ქვეყნის კულტურის სწორად აღქმა/დაფასება წარმოადგენს. ენობრივი მასალის დასწავლას თარგმანისა და მასალის მექანიკური დაზეპირების გზით უცხოური ენის თანამედროვე გაკვეთილზე, შინაარსზე

ორიენტირებული დისკუსიებისა და კრიტიკული აზროვნების განმავითარებელი დავალებების გზით ენის ათვისება ჩაენაცვლა. რაც თავისთვად გულისხმობს მაღალი სააზროვნო უნარების ფლობის აუცილებლობას, უცხოური ენების სწავლების ძირითად მიზანს დღეს კომუნიკაციური კომპეტენციის, ანუ კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება წარმოადგენს. უცხოური ენაზე კომუნიკაციის დამყარებისათვის საჭიროა, მოსწავლეს გამოუმუშავდეს შემდეგი კომუნიკაციური უნარ-ჩვევები: • მოსმენა • ლაპარაკი • კითხვა • წერა.

მოსმენას და ლაპარაკს რეცეფტულ უნარ-ჩვევებს უწოდებენ, ლაპარაკს და წერას კი სამეტყველო აქტივობის ხელშემწყობ, ანუ პროდუქტიულ უნარ-ჩვევებს. მოსმენის და კითხვის დროს ხდება ინფორმაციის მიღება, ლაპარაკის და წერის დროს კი ინფორმაციის გაცემა, თუმცა ენობრივი ქმედებისათვის ენის შემსწავლელებს არა მხოლოდ აღნიშნული კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება სჭირდებათ, არამედ გარკვეული რაოდენობის ლექსიკა, სინტაქსური კონსტრუქციების ცოდნა, აგრეთვე სწორი საწარმოთქმო და ორთოგრაფიული უნარების ფლობა. ენის შესწავლა ნიშნავს, მაშასადამე, ენობრივი სისტემის შემდეგი ასპექტების დაუფლებასაც: • ლექსიკა (ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის); • გრამატიკა (გრამატიკულ-სტრუქტურული სისტემის); • წარმოთქმა და ინტონაცია (ფონეტიკურ-ფონოლოგიური სისტემის); • მართლწერა (ორთოგრაფიული სისტემის). (შდრ. შავერდაშვილი 2013/1, 16)

სახელმძღვანელოში კარგად არის ახსნილი ის, რომ რამდენადაც კომუნიკაციაში ყველა ეს ელემენტი თანაბრად მონაწილეობს, საჭიროა სასწავლო პროცესში მათი ინტეგრირებულად მიწოდება და ამით ენობრივი სტრუქტურების დაუფლება. თუმცა ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის აუცილებელია, ენობრივი სტრუქტურების შესწავლასთან ერთად ამ სტრუქტურების გამოყენება და განსხვავებული კულტურული ცნობიერებისა და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის გაცნობა და დაფასება. (უცხოური ენების სწავლების საფუძვლები.2014: 57)

თანამედროვე უცხოური ენის გაკვეთილის მნიშვნელოვან პრინციპებს წარმოადგენს:

◊ კომუნიკაციური ანუ სამეტყველო უნარ-ჩვევების გაკვეთილზე არა იზოლირებულად არამედ ინტეგრირებულად მიწოდება და მათი ერთდროული განვითარება;

◊ ენა როგორც საკომუნიკაციო საშუალების ყოველდღიურ, ყოფით სიტუაციებში სწავლება;

◊ გრამატიკის როლის შემცირება და მისი როგორც მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად და არა მიზნად სწავლება;

◊ მშობლიური ენის როლი, როგორც მასალის გაგებისა და ათვისების ხელშემწყობი საშუალება;

◊ მრავალენოვნება უცხოური ენის გაკვეთილზე, სადაც მოსწავლეთა სხვა უცხოური ენების ცოდნა კონკრეტული შესასწავლი ენის უკეთესად გაგება/ათვისებაში გამოიყენება;

◊ სამიზნე ჯგუფის კულტურის, მენტალიტეტის, ინტერესების გათვალისწინება სასწავლო პროცესში და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ნაცვლად მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლებისა;

◊ ფაქტების ცოდნასთან ერთად უცხო კულტურის გამოცდილების დიფერენცირებული აღქმა;

◊ რომელიმე გრამატიკულ მოვლენასა და გარკვეული ლექსიკური ერთეულებისადმი „მიძღვნილი“ ხელოვნურად შედგენილი ტექსტების ნაცვლად ავთენტური ტექსტების მნიშვნელობა ენის ათვისებისას;

◊ თავისუფალი აზროვნების განმავითარებელი დავალებათა ტიპების შეტანა გაკვეთილზე;

◊ მედიების როლის გაზრდა ენის სწავლებაში და სწავლების სხვადასხვა სოციალური ფორმების შეტანა გაკვეთილზე;

◊ ფორმაზე ორიენტირების ნაცვლად შინაარსზე ორიენტირება და ინტერაქტიული დავალებებით მუშაობა, სადაც ყველა მოსწავლე თანაბრად აქტიურია;

◊ შემისწავლელის ტიპის გათვალისწინებით დავალებათა დიფერენცირებული შერჩევა:

◊ მოსწავლეებში ავტონომიურობის განვითარების ხელშეწყობა და სხვ. (შდრ. შავერდაშვილი 2013/1, 23)

გავეცანი და ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მასწვლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებულ ლიტერატურა **„ სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“,** რომელშიც საუბარია რთული სააზრვნო უნარ- ჩვევების ჩამოყალიბებაზე, რომელიც მოსწავლეებში გულისხმობს კრიტიკული, შემოქმედებითი და რეფლექსიური აზროვნების განვითარებას, რადგან აზროვნების ამოქმედების დროს მოსწავლე ნასწავლ მასალას კი არ იზეპირებს, არამედ იაზრებს, რაც ხდის მას უფრო გამჭრიახს და მისი აქტიურობა სასწავლო პროცესში იზრდება.

სახელმძღვანელოში კარგად არის განხილული დ. პერკინსის ეფექტური სწავლების პრინციპები, რომლის ცოდნა და გათვალისწინება სწავლა-სწავლების პროცესში გვეხმარება მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარ- ჩვევების განვითარებაში.

დავით პერკინსის აზრით, განათლების მთავარი მიზანი უნდა იყოს მიღებული ცოდნის შენარჩუნება, მისი კარგად გაგება-გააზრება და ცოდნის აქტიური გამოყენება. განათლების მეცნიერებაში მიღებულია აზრი, რომ მოსწავლეები ჯერ იძენენ ცოდნას და შემდეგ იწყებენ ფიქრს, ხოლო პერკინსის აზრით, მოსწავლეები მაშინ იძენენ ცოდნას, როცა სწავლის პროცესში ხდება მისი გააზრება. მაშასადამე, ,,აზროვნება კი არ მოსდევს ცოდნას, არამედ ცოდნა მოსდევს აზროვნებას”; (სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები)

თანამედროვე სკოლებში გამოიყენება სწავლების შემდეგი პრინციპები:

• ”ნაწილებით სწავლების” მოდელი - მისი ძირითადი პრინციპია რთული საკითხების შემადგენელ ნაწილებად (ელემენტებად) დაყოფა და ამ ელემენტების თანმიმდევრულად შესწავლა. ამ მოდელის თანახმად, თუ მოსწავლე შეძლებს შემადგენელი ელემენტების ათვისებას, ეს გაუადვილებს მას მთელი მასალის მთლიანობაში გააზრებასა და გაგებას. • ”საკითხის შესახებ სწავლების” მოდელი - მისი

ძირითადი პრინციპია სასწავლო თემის ირგვლივ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება მოსწავლისათვის საკითხის დეტალური და სიღმისეული ანალიზის გარეშე. ორივე ეს მიდგომა ეფექტიანი სტრატეგიაა, კონკრეტულ ვითარებასა და კონკრეტულ საგანთან მიმართებაში. მათი გაუაზრებლად და არაადეკვატურად გამოყენება იწვევს მათ არაეფექტურობას.

განათლების სპეციალისტის დევიდ პერკინსის აზრით, კომპლექსური საკითხის ცალკეულ ნაწილებზე ფოკუსირება მოსწავლის მხედველობის არეალიდან აქრობს ამ ელემენტების გამაერთიანებელ მთლიანს, საბოლოო პროდუქტს. ნაწილებზე ფოკუსირება სასარგებლოა საკითხის შესწავლის საწყის ეტაპზე, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს გავაცნობთ მიზანს. პერკინსმა შეიმუშავა მოდელი, რომელიც ამ ორი მიდგომის ეფექტურად გამოყენების მცდელობას წარმოადგენს, რომელიც ეხმარება მასწავლებელს გააღვივოს სწავლის მიმართ ინტერესი, ხელი შეუწყოს რთული კონცეფციების მარტივი და გასაგები ენით მიწოდებას და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. დ. პერკინსი ყურადღებას ამახვილებს ოთხ ძირითად საკითხზე, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას და პასუხს სცემს ამ საკითხებს:

- რისი სწავლაა მნიშვნელოვანი, რაში გვადგება შეძენილი ცოდნა;
- რატომ არის რთული ამის სწავლა;
- ყველაზე კარგად როგორ შეიძლება ეს ვისწავლოთ;
- როგორ მიდის სწავლის პროცესი.

პერკინსის აზრით იმისათვის რომ მოსწავლეებმა კარგად იწავლონ საჭიროა განვსაზღვროთ და გავაცნოთ მათ სასწავლო პროცესის მიზნები და შედეგები. დავანახოთ შესასწავლი საკითხის ღირებულება. განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ, რთულ პრობლემუ საკითხებზე, რათა უზრუნველყოთ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების და ზოგადად სწავლის პროცესის თვისობრივი გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია ასევე დავეხმაროთ მოსწავლეებს ცოდნის გამოყენებაში, გავაცნოთ თემის მიღმა არსებული ლოგიკა, რაც არამხოლოდ საინტერესოა არამედ აადვილებს ამათუ იმ თემის შესწავლას. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე განვუვითაროთ მოსწავლეებს თანატოლებისაგან სწავლის უნარი და ვასწავლოთ სწავლა.

მოსწავლეებში სწავლის უნარის განვითარება ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია. (სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები)

აღნიშნულ ლიტერატურაში გავეცანი აგრეთვე სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

როგორც ვიცით მეტაკოგნიცია გულისხმობს სწავლის ეფექტური სტრატეგიების ცოდნასა და გამოყენებას. სწავლის სტრატეგია კი გულისხმობს შემეცნებითი პროცესების მიზანმიმართულად გამოყენებას სწავლის დროს. ეს ურთულესი პროცესია, ცხადია, მოსწავლეები თავიდან ამგვარი სამუშაოების ჩატარებას დამოუკიდებლად, მასწავლებლის დახმარების გარეშე ვერ შეძლებენ, მაგრამ ეს უნარ-ჩვევა დროთა განმავლობაში ვითარდება. პედაგოგმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ მოსწავლეებმა არა მხოლოდ ისწავლონ მასალა, არამედ გამოიმუშაონ თავიანთი სწავლის პროცესის მართვის უნარი და ასწავლოს მოსწავლეებს სწავლის ისეთი ეფექტური სტრატეგიების გამოყენება როგორიცაა მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა, არსებული ცოდნის გახსენება/ცოდნის კონსტრუირება, ჩანაწერების გაკეთება, ინფორმაციის ორგანიზება-გადამუშავება, მასალის მოკლედ გადმოცემა/შეჯამება და გაგება-გააზრების შემოწმება, ანუ მონიტორინგი. (სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები).

ეფექტური სწავლების ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია გრაფიკული ორგანიზატორები ანუ კოგნიტური დიაგრამები, რომლებმაც სწავლებისა და სწავლის პროცესი უფრო მრავალფეროვანი და შემოქმედებითი გახადა. რადგან კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა მოსწავლეებს გაკვეთილზე მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის აღქმაში ეხმარება. მოსწავლეებს ხელთ ეძლევათ ტექსტის იდეის , საკითხის კონტროლის მექანიზმი, რომელიც ნაწილისა და მთელის , ცნებისა და დეტალების ურთიერთმიმართების დადგენასა და ვიზუალურად დანახვაში დაეხმარებათ. კოგნიტური დიაგრამებით მუშაობა, მოსწავლეთა აქტივობისა და დამოუკიდებლობის ზრდის კარგი საშუალებაა. კოგნიტური დიარამების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა პედაგოგის როლი და ფუნქცია, გაუადვილა მასწავლებლებს სტრუქტურირებული გაკვეთილის დაგეგმვა, ხელთ მისცა აკადემიური პროგრესის და უნარ ჩვევების გამომუშავების კონტროლისა და შეფასების საკმაოდ მოქნილი ტექნიკა.

კოგნიტური დიაგრამების საშუალებით მოსწავლე:

- ანაწევრებს მოცემულ ინფორმაციას; •
- ორგანიზებას უკეთებს ინფორმაციას;
- შეიცნობს მთელისა და დეტალების ურთიერთმიმართებას;
- ეჩვევა კრიტიკულ აზროვნებას; •
- სწავლობს დამოუკიდებლად მუშაობას (სწავლება და შეფასება.2011 გვ.45)

ვფიქრობ აღნიშნული ინფორმაცია დამეხმარება სწორად დავგეგმო სწავლა სწავლების პროცესი, რათა მოვახდინო მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, კიდევ უფრო ხშირად გამოვიყენო გრაფიკული ორგანიზატორები და აქტივობები, რომლებიც ამ უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს.

გავეცანი და ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მეთოდილოგიური სახელმძღვანელო **„ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“,** მასში კარგად არის ნაჩვენები სააზროვნო უნარების განვითარების უპირატესობა, რომ მოსწავლე უნდა გასცდეს მასალის უბრალოდ დამახსოვრება-გაზეპირებას. კერძოდ, მან ცოდნის დაგროვებასთან (ინფორმაციის შენარჩუნება) ერთად უნდა შესძლოს ამ ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს, შეფასება. ამ დროს მოსწავლე არა მხოლოდ ფლობს ინფორმაციას, არამედ მას შეუძლია ქმედება. საინტერესოა, რომ რაიმეს სწავლა სწორად აზროვნების შედეგია. აზროვნების ამოქმედების დროს ადამიანი გააზრებულად სწავლობს და ხდება უფრო გამჭრიახი. სხვა შემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და შესაბამისად, მას უჭირს რაიმეს სწავლა.

გასათვალისწინებელია ის რომ, გარკვეული სახით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეს ეხმარება აზროვნების ამოქმედებაში. განათლების სპეციალისტი დ. პერკინსის (Perkins, 1992) „თეორია ერთი“ განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და, შესაბამისად, ეფექტურ სწავლასა და სწავლებას. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს იმას, რის სწავლის ლოგიკური შესაძლებლობა და მოტივაციაც აქვს. „თეორია ერთის“ მიხედვით, რაიმეს კარგად შემეცნება მოითხოვს მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრას, აქტიურ პრაქტიკას, რჩევების მიცემასა და შეფასებას, რომ

მოსწავლემ უკეთეს შედეგს მიაღწიოს, ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა მოსწავლეებისათვის ასევე დამაჯილდოვებელი აქტივობები და დავალებები, რაც საინტერესოს გახდის სწავლა სწავლების პროცესს და მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში. (როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. თბილისი 2007. გვ 3.4)

სახელმძღვანელოში „ **როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება**“ გავეცანი ასევე, სხვადასხვა სააზროვნო უნარების კლასიფიკაციებს, რომელთა ცოდნაც მასწავლებლებს დაეხმარებათ მოახდინონ მოსწავლეთა აზროვნების აქტივაცია და უკეთ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. მასში კარგად არის განხილული ბლუმის ტაქსონომია, რომ აზროვნების ან შემეცნების უნარი ექვს დონედ შეიძლება დაიყოს. ეს დონეებია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. ცოდნა გაგება და გამოყენება მოიაზრება აზროვნების ქვედა დონეებად, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი- ზედა დონეში. ამიტომ იმისათვის რომ მოვახდინოთ მოსწავლეებში მაღალი სააზროვო უნარების განვითარება რაც, დღესდღეობით უჭირთ მოწავლეებს საჭიროა საკლასო აქტივობები დავგეგმოთ ამ დონეების შესაბამისად. მასწავლებლები ხშირად სვამენ შეკითხვებს, რომლებიც აზროვნების მხოლოდ ქვედა დონის ამოქმედებას უწყობს ხელს, რაც საბოლოოდ ცუდ შედეგს იძლევა, ამიტომ საჭიროეა ასეთი თიპის შეკითხევბი ჩავანაცვლოთ ისეთი შეკითხვებით , რომლებიც ხელს შეუწყობს მაღალი სააზროვნო უნარ- ჩვევების განვითარებას. ასეთი შეკითხვები არის არა მხოლოდ მოსწავლეების შეფასების, არამედ სწავლების კარგი იარაღი. ამგვარი შეკითხვების გამოყენებით მოსწავლეების ინტერესი და მოტივაცია გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს სკოლაში მიღებული ცოდნა, დაუკავშირონ საკუთარ გამოცდილებას, ღირებულებებსა და ცოდნას. ყოველივე ამისთავის კარგი იქნება თუ მასწავლებლები მოახდენენ კითხვების კლასიფიკაციას, შეძლებენ შეუასაბამონ ის მოსწავლეთა ასაკსა და შეძლონ აზროვნების ბლუმის ტაქსონომიის გამოყენება საგაკვეთილო პროცესში. მოახდინოს მათში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, რადგან იმისათვის რომ მოსწავლე აზროვნების მაღალ დონეზე თავისუფლად მოქმედებდეს საჭიროა ის შესაბამისად იყოს გავარჯიშებული, რაც გულისხმობს უნარ-ჩვევების ეტაპობრივ განვითარებას. მაგალითად კრიტიკული აზროვნების ასამოქმედებლად საჭიროა , ისეთი ზმენბის გამოყენება, რომლებიც უკავშრდება რთულ სააზროვნო ამოცანებს.

ბლუმის ტაქსონომიაში მოცემული ზმნები და შესაბამისი აქტივობები მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო ამოცანებისა და შეკითხვების ფორმირებაში.

გავეცანი ასევე აღნიშნული სახელმძღვანელოს „ **როგორ ვასწავლთ მოსწავლეებს აზროვნება**“ მესამე თავს, რომლეშიც საინტერესოდ არის ახსნილი მაღალი სააზროვნო უნარების ამოქმედების მეთოდიკა. მასში საუბარია იმაზე, რომ ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გამოცდის მიზნით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან სწორედ აზროვნების ზედა სამი დონის (ანალიზი, სინთეზი და შეფასება) დავალებების შესრულების დროს (ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი, 2007). ამის მიზეზები კი არის ის , რომ მასწავლებლები მიჩვეულნი არიან ტრადიციული მეთოდებით სწავლებას და მხოლოდ ქვედა სამი დონის(ცოდნა, გაგება , გამოყენება) ზე ორიენტირებული აქტივობებით შემოიფარგლებიან. მასწავლებლებს ასევე ნაკლები გამოცდილება აქვთ აზროვნების ზედა დონეების აქტივაციასა და წარმართვაში. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მოსწავლეების წინაშე დასმული რთული შეკითხვა, თავისთავად არ განაპირობებს მათ ჩართვას აზროვნების ზედა დონის ამოქმედების პროცესში, რადგან თუ მოსწავლის უნარები არ არის მომწიფებული ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მაშინ ის მხოლოდ ქვედა დონის უნარებით შემიფარგლება. დღესდღეობით არამხოლოდ ჩემ კლასში, არამედ სხვა კლასებშიც, ზოგადად როდესაც დავალება მოსწავლისაგან მოითხოვს ანალიზის გაკეთებას, ხშირად ის ვერ ახერხებს ამას და ანალიზის ნაცვლად აღწერაზე გადადის. რაც შეეხება სინთეზის დონეს. მაგალითად, როდესაც მოსწავლეს ვთხოვთ დაწერონ ესე , სინთეზის დონე ხშირად ჩენაცვლება გამოყენების დონეს, რადგან ამ დროს ისინი ცდილობენ ნიმუშის მოძებნას და იმის მიხევით დაწერას. ბოლო შეფასების დონე კი ხშირად შემოიფარგლება, მხოლოდ ემოციური დამოკიდებულების გამოხატვით, არ ხდება კრიტერიუმების გამოყოფა ან შემუშავება რის მიხედვითაც უნდა შეაფასონ, არ ხდება ასევე ამ კრიტერიუმების მნიშვნელობაზე და ღირებულებაზე მსჯელობა. ამიტომ აზროვნების ზედა დონეების ასამოქმედებლად სასურველია გამოვიყენოთ სპეციალური მეთოდიკები, ერთი- ერთი ასეთი მეთოდიკაა დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა, რომელიც მოსწავლეებს სწორ მიმართულებას მისცემს, მასწავლებელმა ამ დროს უნდა გაითვალისწინოს ასევე მოსწავლეთა ცოდნის დონე და

ამოცანის ტიპი და ამის მიხედვით შეარჩიოს დამაზუსტებელი კითხვები. ამრიგად მასწავლებლის მიერ სწორად შერჩეულმა კითხვებმა, შეიძლება მოსწავლეებს აღარ მისცეს თავის არიდების საშუალება და შეუწყოს ხელი მათი აზროვნების აქტივაციას.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ,ძალიან საინტერესო სტატია არის „ აზროვნება საკუთარი აზროვნების შესახებ“ 11 ოქტომბერი, 2013 თეო ჭყოიძე), რომელშიც კარგად არის აღწერილი ის თუ რა უნარებით უნდა აღვჭურვოთ მოსწავლეები იმისათვის რომ, მათ შეძლონ თანამედროვე, კონკურენტუნარიან გარემოსთან ადაპტირება. სტატია განიხილავს იმ უნარ-ჩვევებს რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს დამოუკიდებელ და წარმატებულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში. განხილულია აგრეთვე ამ უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში.

ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა სტატია (XXI საუკუნის უნარები 15 აგგვისტო, 2014 დავით ბოლქვაძე) რომლეშიც ავტორი საუბრობს და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთ უნარებს, როგორიც არის კრიტიკული აზროვნება, პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირება და კრეატულობა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეს უნარები ყველა სფეროსთვის აუცილებელია და რომ ამ უნარების გარეშე მომავალში ცხოვრებაც კი შესაძლოა გაჭირდეს, სხვასხვა მიზეზით შექმნილი ურთულესი პირობების გამო.

საინტერესო აღმოჩდა სტატია (“ სოკრატეს როლი , თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების ჩამოყალიბებაში“, 22 მაისი, 2013 სოფიკო ლობჟანიძე), რომელშიც ავტორი საუბრობს სოკრატისეულ მეთოდზე, რომელიც თანამედროვე პედაგოგიკაში ერთ-ერთ ძირითადი მიდგომაა მაღალი სააზროვნო უნარების განსავითარებლად. მის სახელს უკავშირდება ასევე თანამდეროვე პედაგოგიკაში ფართოდ გამოყენებული ინტერაქტიული მეთოდი.

კვლევის დამუშავებსი პროცესში ასევე გავეცანი სტატიას („ მოსწავლეთა აზროვნების განვითარება. 12 იანვარი, 2017. ცვატა ბერძენიშვილი.) სტატიაში ავტორი საუბრობს იმაზე, თუ რა არის საჭირო და როგორ უნდა მოხდეს აზროვნების

განვითარება, რომ ყურადღება გამახვილებული უნდა იქნას აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაზე სპეციალური პროგრამებით (რომელიც პირდაპირ ამ უნარ-ჩვევების სწავლაზეა გათვლილი) ან არაპირდაპირი მეთოდებით (რომლებიც აზროვნების განვითარებას ჩვეულებრივ სასწავლო გეგმას დაურთავენ.)

თავი I I- საკვლევი საკითხის მიმოხილვა

2.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ სოფელ სორმონის საჯარო სკოლა ათწლეულების განმავლობაში იდგა და დღესაც ამაყად დგას სოფლის განათლების სადარაჯოზე. ამჟამად სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში 35 მოსწავლე ირიცხება, რომელთა 98% წარმატებით აღწევს ეროვნული სასაწავლო გეგმით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს. სკოლაში მომუშავე 16 პედაგოგიდან 11 სერტიფიცირებულია, აქედან 4 მა წელს წარმატებით გაიარა გარე დაკვირვება და ემზადება წამყვანი მასწავლებლობისთვის, ერთი უკვე არის წამყვანი ხოლო, დანარჩენი კი აქტიურადაა ჩართული მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, რომლის ფარგლებშიც სისტემატიურად გადიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს და ზრუნავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე. სკოლის მისიაა საგანმანათლებლო საქმიანობა წარმათოს საქართველოს სახელმწიფოს და საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე და აღზარდოს მაღალი აკადემიური განათლების , ანალიტიკურად მოაზროვნე , მოტივირებული, ინფორმირებული , კანონმორჩილი, მრავალმხრივად განვითარებული პიროვნება, რომელიც ორიენტირებულია ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებსა და ვალდებულებებზე. სკოლა ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებიდან გამომდინარე ზრუნავს შეუქმნას მოსწავლეს, სწავლების ყველა საფეხურზე , წინაპირობები იმისათვის , რომ მან შეძლოს სწორად აირჩიოს თავისი მომავალი განვითარების გზა, მისცეს მას მაღალი ხარისხის პროფესიული საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა , უნარები და ღირებულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პიროვნების

დასაქმებას სხვადასხვა სფეროში და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას.

2.2 საკვლევი თემის აქტუალურობა:

მოგეხსენებათ ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაა. აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ, ჩემს მიერ არჩეული საკვლევი თემა საკმაოდ აქტუალურია, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მოსწავლემ არამხოლოდ უნდა შეძლოს მასალის უბრალოდ გაზეპირება-დამახსოვრება, არამედ ცოდნის დაგროვებასთან ერთად, მან უნდა მოახერხოს შეძენილი ცოდნის გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს შეფასება. ძალიან მნიშვნელოვანია სწავლებისას მოხდეს მაღალი სააზროვნო უნარების გააქტიურება, რადგან ამ დროს მოსწავლეს შეუძლია ქმედება და არ ფლობს მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციას, სწავლობს გააზრებულად, ხდება უფრო აქტიური და უადვილდება სწავლა.

ჩემი სასკოლო პრაქტიკიდან ჩანს , რომ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალუარია სწავლების ბოლო საფეხურზე გადასვლისას. „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან“ საკმაოდ კარგად იკვეთება ის ფაქტი, რომ სკოლამ მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს ახალი ცოდნის, გამოცდილებების, ჩვევების შეძენის უნარი , რათა მათ მომავალში შეძლონ საკუთარი ადგილის დამკვიდრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დღესდღეობით 21-ე საკუნეში, ძალიან მნიშვნელოვანია, ადამიანმა შეძლოს არამხოლოდ შემოქმედებითად, არამედ კრიტიკულად და ანალიტიკურად აზროვნებაც. ყოველივე ეს განაპირობებს მის წარმატებას ცხოვრებაში. სამწუხაროდ, როგორც ჩემი დაკვირვებებიდან ჩანს ეს უნარები, შედარებით უფრო ნაკლებადაა განვითარებული ჩემს მოსწავლეებში, ისინი უმეტესად იყენებდნენ სწავლის შედარებით ნაკლებეფეტურ სტრატეგიებს, სხვადასხვა აქტივობების შესრულებისას ვამჩევდი, რომ მოსწავლეები ადვილად

ახერხებდნენ ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებას, ხოლო როგორც კი ჯერი გაგება- გააზრებაზე მიდგებოდა, აქ უკვე უმეტესწილად ვაწყდებოდი გარკვეული სახის პრობლემებს. მაშინ როდესაც კონკრეტული დავალება მოსწავლეებიდან მოითხოვდა ანალიზის გაკეთებას, კლასში უმეტესობა ანალიზის ნაცვლად აღწერაზე გადადიოდა. აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ ჩემი კვლევა საკმაოდ აქტუალურია, რადგან ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ მოვახდინო მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების გაუმჯობესება, გამოვკვეთო პრობლემა და დავსახო ინტერვენციები, რომლებიც ამ პრობლემის გადაწყვეტაში დამეხმარება.

ჩემი კვლევის სამიზნე ჯგუფი არის საშუალო საფეხურის მე- 11 კლასის მოსწავლეები. პრობლემის აქტუალურობას განსაზღვრავს ისიც, რომ ესგ- მიხედვით, საშუალო საფეხურზე უცხოური ენის მთავარ აღმზრდელობით მიზნად რჩება მოსწავლეებში მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ყოველივე ეს თავისთავად გულისმობს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების აუცილბლობას და ხაზს უსვამს ჩემი საკვლევი თემის აქტუალურობას.

მოსწავლეს, რომელი სფეროც არ უნდა აირჩიოს მან პროფესიული საქმიანობისათვის, უცხოური ენა დასჭირდება როგორც ინსტრუმენტი ცოდნისა და გამოცდილების გასამდიდრებლად. ამდენად, საშუალო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების საგანმანათლებლო მიზანია მოსწავლის უზრუნველყოფა ისეთი ცოდნით, რომ მან შეძლოს ერთ ან ორ უცხოურ ენაზე:

- სხვადასხვა ხასიათის ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების (რეპორტაჟი, საქმიანი წერილი, ინტერვიუ, რეფერატი, ბიოგრაფია, პუბლიცისტური წერილი, შემეცნებითი ტექსტი და სხვა) გაგება, გაანალიზება და დამუშავება შემდგომში გამოყენების მიზნით სასწავლო საქმიანობაში;

- ზეპირი თუ წერილობითი ახსნა-განმარტების, საკუთარი აზრის, დამოკიდებულების გამოხატვა და დასაბუთება;

- მეგობრული თუ საქმიანი წერილების შედგენა, აქტუალურ თემებზე ზეპირი მოხსენების/პროექტის წარდგენა და სხვა.(ესგ. საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში თავი XXIV)

ყველა ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ჩემი აზრით საკვლევი საკითხი საკმაოდ აქტუალურია, ხოლო ჩემი როგორც მასწავლებლის მთავარი ფუნქციაა, ხელი შევუწყო მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

იმისათვის რომ შემესწავლა არსებული პრობლემების გამომწვევი მიზეზები და დავხმარებოდი მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში, გადავწყვიტე მეწარმოებინა კვლევა, გამომეკვეთა პრობლემები და გამეკეთებინა აღწერა იმ ფაქტორების, რაც ხელს უშლიდა მოსწავლეებს აღნიშნული უნარების განვითარებაში. ვფიქრობ ჩემთვის მნიშნელოვანი იქნება მუშაობა კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემის აღმოფხვრაზე. კვლევა დამანახებს ჩემ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომლის შემდეგადაც შევეცდები ჩემი ძლიერი მხარეების განმტკიცებას, ხოლო სუსტი მხარეებზე მოვახდენ ყურადღების უფრო მეტად კონცენტირებას და ვიმუშავებ უფრო მეტს მათ აღმოსაფხვრელად. ყოველივე ეს ვფიქრობ დამეხმარება მიზნის მიღწევაში, ხოლო ჩემ პედაგოგიურ საქმიანობას კი გახდის შედარებით ეფეტურსა და ხარისხიანს. ჩემი კვლევის შედეგს გავუზაირებ კოლეგებს, ვფიქრობ ისინიც დანერგავენ მსგავსი ტიპის კვლევებს თავიანთ პედაგოგიურ საქმინობაში, რაც საბოლოოდ გააუმჯობესებს სწავლა სწავლების ხარისხს.

პრობლემის აქტუალურობას ასაბუთებს ისიც , რომ აღნიშნული პრობლემა აქტუალურია არამხოლოდ ჩემ საგანსა თუ კლასში, არამედ ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა განსჯის საგნად სხვა კლასებსა და საგნებშიც. ამიტომ ვფიქრობ რომ ეს პრობლემა არამხოლოდ ჩემ პედაგოგიურ პრაქტიკაში, არამედ ზოგადად უფრო ფართო მაშტაბით არის აქტუალური.

2.3 პრობლემის ანალიზი

ზოგადად განთლების რეფორმის მიზანია მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითრება, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის განმავლობაში კი მოსწავლეთა სწავლის შედეგზე დაკვირვებით იკვეთება, რომ მოსწავლეებს უჭირთ მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი დავალებების შესრულება, პრობლემის ანალიზი, გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება , ალტერნატიული გზებით

პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შერჩევა და დასკვნების გაკეთება. მეთერთმეტე კლასის წიგნში , ყოველი თავი იწყება ახალი ტექსტებით, რომელიც მოითხოვს მოსწავლეებიდან არა მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის დამახსოვრებას, არამედ კარგად გააზრებას და ანალიზის გაკეთებას, მაგალითად წიგნში ერთ ერთი თემა იყო " Computer Games" კომპიუტერული თამაშები ტექსტის წაკითხვისა და გარჩევის შემდეგ მოსწავლეებმა ადვილად უპასუხეს კითხვას თუ რომელი კომპიუტერული თამაშებზე იყო საუბარი ტექსტში და მოკლედ აღწერონ ის, ანუ შეძლეს მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის აღქმა და დამახსოვრება, ხოლო როცა ვთხოვე მათ ესაუბრათ კომპიუტერული თამაშების დადებით და უარყოფით მხარეებზე, დავსვი კითხვა თუ რატომ არის ეს თემა დღეს ასე აქტუალური და რატომ წარმოადგენს დღეს ის კაცობრიობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, აქ უკვე ზოგიერთმა უკან დაიხია, ბევრმა ვერ შეძლო თამამად ესაუბრათ მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ვერ ახსნეს ის თუ რატომ არის დღეს ამდენი ბავშვი მასზე მიჯაჭვული რასაც სავავლალო შედეგებამდე მივყავართ. მსგავს სირთულეებს წავაწყდი სხვა სავარჯიშოების შესრულებისას რომელიც შედარებით უფრო მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენებას მოითხოვდა და არა უბრალო აღწერას. ვაკვირდებოდი სასწავლო პროცესს და ვხედავდი, რომ უმეტეს ნაწილს უჭირდათ არგუმენტებისა და კონტრაგუმენტების მოყვანა, დისკუსიები, ესე წერა და ა.შ. უჭირდათ საინფორმაციო ტექსტებში ასახული ფაქტების მიმართ საკუთარი პოზიციის გამოხატვა და არგუმენტირება, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბება. უფრო კარგად გამოდიოდათ ფაქტების, ლექსიკური ერთეულების გამოყენება, მაგრამ როდესაც ვთხოვდი ეს ყველაფერი ცოტა უფრო მაღალ სააზროვნო უნარებში გადაეტანათ , აქ უკვე ვაწყდებოდი გარკვეული სახის პრობლემებს.

უცხოური ენის სწავლება როგორც ვიცით შემდეგი მიმართულებებით იშლება: მოსმენა, წერა, კითხვა, ლაპარაკი, სწავლის სწავლა,კულტურათა დიალოგი და უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.

კონკრტეულ მაგალითებზე, სავარჯიშოებზე დაკვირვებებმა საბოლოოდ გამოკვეთა არსებული პრობლემა, მოსწავლეებს უმეტესწილად უჭირთ მხოლოდ აკუსტიკურ ხმაზე დაყრდნობით ტექსტის შინაარსის გაგება, მთლიანად უცხო ენაზე

კომუნიკაცია, ესეს, საქმიანი წერილის წერა, უმეტესი ნაწილი ასევე ვერ ახერხებს სხვადასხვა ჟანრისა თუ ტიპის, ლიტერატურული თუ ფუქციური ტექსტის გაგება გაანალიზებას,, აქედან გამომდინარე ჩანს რომ მათ არ აქვთ კარგად განვითარებული მაღალი სააზროვნო უნარები, ყოველივე ამან გადამაწყვეტინა გამეანალიზებინა ამ პრობლემის არსი, მეფიქრა მის გამომწვევ მიზეზებზე, განმეხორციელებინა და შემეფასებინა კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები. თუ რა გააუმჯობესებდა არსებულ მგომარეობას და როგორ შეძლებდნენ მოსწავლეები მაღალი სააზროვნო უნარების აქტივაციას, თუმცა ასევე ვფიქრობ რომ ერთ-ერთი მიზეზი აღნიშნული პრობლემისა შეიძლება ასევე იყოს მცირერიცხოვანი კონტინენტი მოსწავლეებისა, მათ არ შეუძლიათ მოისმინონ მრავაფეროვანი იდეები, აკლიათ თავდაჯერებულობა, უჭირთ საკუთარი აზრის მყარად დაფიქსირება, აქვთ დაბალი თვითშეფასება. ჩვენ კი არ გვაქ მრავალრიცხოვან სეგმენტებზე დაკვირვების უნარი.

2.4 კვლევის მიზანი: დადგინდეს პრობლემის გამომწვევი მიზეზები ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში , რაც ხელს უშლის საშუალო საფეხურის მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. დაიგეგმოს,განხორციელდეს და შეფასდეს შესაბამისი ინტერვენციები და მოხდეს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა საშუალო საფეხურის მოსწავლეებში.

ჩემთვის ძალიან მნივნელოვანია კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ იქნას ის , თუ როგორ ხდება მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, როგორია მასწავლებლის როლი, როგორი სააზროვნო უნარების (ანალიზი , სინთეზი, შეფასება) განვითარებას მოიცავს, რამდენად სწორად გეგმავს გაკვეთილებსა და ახდენს მოსწავლეთა აზროვნების აქტივაციას. ჩემთვის ძალიან მნიჩვნელოვანია ასევე მოსწავლეებს გავუმარტივო ინგლისური ენის შესწავლა, გავუვღვივო ინტერესი და დავანახო მისი საჭიორება და უპირატესობა .

III თავი- მეთოდოლოგია

3.1 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები.

კვლევაში კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენება კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები.

კვლევის თვისობრივი მეთოდი

კვლევის თვისობრივ მეთოდებში შედის დაკვირვება. დაკვირვება ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეთოდია პედაგოგიური პრაქტიკის შესასწავლად. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება საკვლევი ობიექტის, პროცესის ან მოვლენის ორგანიზებული აღქმა ბუნებრივ პირობებში. კვლევის ეს მეთოდი დამეხმარა დამენახა პრობლემა მე- 11კლასში, რომ მათ უჭირდათ ისეთი სავარჯიშოების შესრულება რომელიც მათგან მოითხოვდა მაღალ სააზროვნო უნარებს. გამოყოფენ დაკვირვების სამ ეტაპს: აღწერითს, ფოკუსირებულსა და შერჩევითს. აღწერითი დაკვირვება გამოვიყენე კვლევის საწყის ეტაპზე, რომელიც დამეხმარა იმის დადგენაში თუ რაზე უნდა გამეკეთებინა ფოკუსირება, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დაკვირვების ეს ეტაპი ზედაპირულობით ხასიათდება., ამიტომ დაკვირვების მეორე ეტაპზე გამოვიყენე ფოკუსირებული დაკვირვება, რომლის დროსაც მკაფიოდ გამოიკვეთა კვლევის კონკრეტული ელემენტები, ანუ ის თუ რამდენად აქვთ მოსწავლეებს განვითარებული მაღალი სააზროვნო უნარები ინგლისურში და რამდენად ხშირად იყენებენ მას. კვლევის ბოლო ეტაპზე გამოვიყენე შერჩევითი დაკვირვება, კონკრეტულად პროექტზე მუშაობისას იყენებდნენ თუ არა მოსწავლეები შემოქმედებით, თანამშრომლობით უნარებს და რამდენად სწორად ახერხებდნენ კომუნიკაციას ინგლისურ ენაზე .

დაკვირვების წარმათვის დროს თავდაპირველად ჩავინიშნე თემა რომელზეც უნდა მეწარმოებინა კვლევა; გამოვყავი დაკვირვების ობიექტი; ჩამოვაყალიბე დაკვირვების მიზანი და განვსაზღვრე მოლოდინები; განსაზღვრე კრიტერიუმები, რომელთა

მიხედვითაც შევაფასებდი დაკვირვების ობიექტს, შევიმუშავე დაკვირვების ოქმები; ჩამოვწერე რას, როდის, რა ხანგრძლივობით და ინტენსივობით დააკვირდებოდი და შედეგები ჩავიწერე, ბოლოს კიმიღებული შედეგები გავაანალიზე.

კვლევის წარმოებისას გამოვიყენე ასევე ინტერვიუ, დიალოგის თანამედროვე ფორმა, რომელიც პედაგოგიკაში სოციოლოგიიდან შემოვიდა. აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა თავისი მიზანმიმართულებით, ჩანს პიროვნების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, სწორედ ამიტომ ვაწარმოე ინტერვიუ მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან, რომ გამეგო მათი აზრი არსებული პრობლემის შესახებ.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი

რაოდენობრივი კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენე ანკეტირება, რომელიც არის ინტერვიუს სტრუქტურირებული (ფორმალიზებული) სახე. ანკეტირების კითხვარები გამოვიყენე მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. ანკეტირება ჩატარდა ყველა ეთიკური ნორმების დაცვით. სრული სურათის დასანახად კითხვები იყო როგორც დახურული, ასევე ღია ტიპის. ანკეტირება მოხდა ანონიმურად, რადგან ამ დროს რესპოდენტი არ იზღუდება და გულწრფელია პასუხების გაცემის დროს .შესაბამისად მის მიერ გაცემული პასუხები სანდო და ზუსტია.

3.2 საკვლევი კითხვები: მთავარი შეკითხვა: შეუძლია თუ არა საგნის მასწავლებელს მოახდინოს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება მოსწავლეებში?

ქვეკითხვები:

I. რამდენად ხშირად იყენებეს მასწავლებელი მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილ აქტივობებს და გეგმავს თუ არა მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებულ გაკვეთილებს ესგ-ს მიხედვით ?

II. აქვს თუ არა მასწავლებელს შესაბამისი გამოცდილება მაღალი საზროვნო უნარების აქტივაციასა და აზროვნების პროცესის წარმართვაში?

III. არის თუ არა მოსწავლეების უნარები სათანადოდ მომწიფებული რომ მათ შეძლონ მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენება კითხვებზე პასუხის გასაცემად?

IV. მაღალი სააზროვნო უნარების ასამოქმედებლად იყენებს თუ არა მასწავლებელი სპეციალურ მეთოდიკას? (მაგ დამაზუსტებელი შეკითხვები ?) კითხვა რატომ? და როგორ? და შეკითხვების დასმისას ითვალისწინებს თუ არა მოსწავლის ასაკსა და ცოდნის დონეს?

V. რა ფაქტორები უშლის ხელს მოსწავლეებს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაში?

3.3 სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს მოსწავლეები, მათი მშობლები, პედაგოგები და დირექცია.

მოსწავლეები :

სამიზნე ჯგუფში შედის 4 მოსწავლე, 3 ვაჟი და 1 გოგონა, კვლევის სამიზნე ჯგუფად ავირჩიე მოსწავლეები რომ მათთან ერთად მემუშავა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად და მათი დახმარებით შემემუშავებინა კონკრეტული აქტივობები

და მეთოდები რომლებიც დამეხმარებოდა ამემაღლებინა მათში მაღალი სააზროვნო უნარები.

მშობლები:

კვლევის სამიზნე ჯგუფად ასევე ავარჩიე მშობლები, რადგან მათგან მიღებული ინფორმაცია დამეხმარება არსებული პრობლემის მოგვარებაში და კვლევის სწორად წარმართვაში. ვინაიდან ისინი კარგად იცნობენ თავიანთ შვილებს, იციან მათი ძლიერი და სუსტი მხარეები ვფიქრობ, მათგან მიღებული ინფორმაცია და დამეხმარება იმაში, რომ ინგლისური ენის სწავლა-სწავლების პროცესი გავხადო მათთვის სახალისო და ეფექტური.

პედაგოგები:

კვლევის შემდეგ სამიზნე ჯგუფში შედის 15 პედაგოგი. მინდოდა გამეგო ჰქონდათ თუ არა მათაც ანალოგიური პრობლემა და რა საშულებებს მიმართავდნენ ამ პრობლემის მოსაგვრაბელად. ჩემთვის საინტერესო აღმოჩნდა მათი რჩევები და გამოცდილების გაზიარება.

დირექცია:

მათი თანადგომა და ხედვა აღნიშნული საკითხის მიმართ , დამეხმარება კვლევის პროცესის სწორად წარმართვაში.

N	აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	პრობლემის იდენტიფიცირება		•								
2	საკვლევი თემის შერჩევა		•								
3	ლიტერატურის გაცნობა		•	•	•	•	•	•			
4	საკვლევი თემის აქტუალურობა		•	•							
5	ფოკუს ჯგუფების შექმნა			•	•						
6	კითხვარების შედგენა მოსწავლეებისთვის			•							
7	კითხვარების შედგენა			•							

	მასწავლებლებისთვის										
8	კითხვარების შედგენა მშობლებისთვის			•							
9	ინტერვიუ დირექტორებთან			•							
10	სტატისტიკური მონაცემების ანალიზი				•						
11	ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება				•	•	•	•	•		
12	ინტერვენციების შეფასება და შედეგები									•	
13	პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშის მომზადება									•	
14	კოლეგებთან გაზიარება										•

3.5კვლევის განრიგი/ვადები

თავი IV. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები

4.1 სტატისტიკური მონაცემები

კითხავრი მოსწალეებისათვის(იხ დანართი2)

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:

გაგაცნობთ მოსწავლეთა გამოკითხვის სტატისტიკურ მონაცმებს დახურულ კითხვებზე დატყრდნობით:

- **1.** რამდენ დროს უთმობთ სახლში სწავლას?



მოცემული დიაგრამიდან ჩანს რომ სახლში სწავლას 1 საათზე მეტს ანდომებს მოსწავლეთა 50 პროცენტი, 1 საათზე ნაკლებს 25 პროცენტი, ხოლო 1 საათს 25 პროცენტი.

2.რამდენად ხშირად გეხმარებათ ვინმე სკოლის გარეთ მეცადინეობაში?



მოცემული დიაგრამიდან იკვეთება რომ მოსწავლეების 50 პროცენტს დავალების შერულებაში ეხმარებიან იშვიათად, 50 პროცენტს კი არასოდეს .

3. იყენებთ თუ არა სკოლაში მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში?



დიაგრამიან ჩანს რომ მოსწავლეების მხოლო 33 პროცენტი იყენებს მირებულ ცოდნას პრაქტიკაში, ხოლო 67 პროცენტი იყენებს იშვიათად.

4.როგორი ტიპის დავალებების შესრულება გიჭირთ?



კითხვაზე როგორი ტიპის დავლებების შერულბა უჭირთ მოსწავლეებს დიაგრამიდან ჩანს, რომ 50 პროცენტს უჭირს ესე წერა, 25 პროცენტს კითხვებზე პასუხის გაცემა და 25 % ტექსტის შინაარსის გადმოცემა, აქ კიდევ უფრო კარგად იკვეთება ის პრობლემა, რომ მოსწავლეთა ნახევარს უჭირს მაღალ სააზროვნო უნარებზე ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულება.

მშობელთა გამოკითხვის შედეგები:

კითხვარი მშობელთათვის (იხ დანართი 3)

- მოგმართავთ თუ არა თქვენი შვილი დავალების შესრულებისას დახმარების თხოვნით?



მოცემული დიაგრამიდან ჩანს რომ 50 პროცენტი იშვიათად მიმართვას მშობლებს დავალების შესრულებისას, 50 პროცენტი კი არასოდეს.

2. რამდენ დროს უთმობს თქვენი შვილი სახლში ინგლისურის მეცადონეობას?



დიაგრამიდან ჩანს რომ ინგლისურს მეცადინეობას 1 საათი ანდომებს 30 პროცენტი, 1 საათზე ნაკლები 42 პროცენტი, ხოლო 1 სათზე მეტი 29 პროცენტი. ვფიქრობ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი არ უთმობს შესაბამის დროს უცხო ენის სწავლას, რაც შეძლება კლასში არსებული პრობლემი ერთ- ერთი მიზეზიც იყოს.

3.რამდენად ხშირად ერთვება თქვენი შვილი პედაგოგების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში?



დიაგრამიდან ჩანს რომ მოსწავლეთა 40 პროცნეტი ხშირად ერთვება საგანმანათლებლო ღონისძიებებში 40 პროცენტი ნაწილობრივ, ხოლო 20 კი არასოდეს.

4. რამდენად ხშირად უკეთებთ თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებებს მონიტორინგს?



დიაგრამიდან ჩანს რომ მშობლების 50 პროცენტი აკეთებს ხშირად თავიანთი შვილების სწავლის მონიტორინგს, ხოლო მეორე 50 პროცენტი კი იშვიათად.

კითხვარი მასწავლებლებისთვის (იხ დანართი 4)

კითხვარის შედეგები:

1. აქტიურად არიან თუ არა მოსწავლეები თქვენს საგნებში ჩართული სკლასო და საგანმანათლებლო აქტივობებში?



დიაგრამიდან ჩანს რომ მოსწავლეების 60 პროცენტი სხვა საგნებში ჩართულია საგანმანათლებლო ღონისძიებებში, 27 პროცენტი ნაწილობრივადაა ჩართული ხოლო დარჩენილი 13 პროცნტი კი საერთოდ არ არის ჩართული .

2. ფლობენ თუ არა მოსწავლეები მაღალ სააზროვნო უნარებს თქვენს საგნებში?



დიგრამიდან ჩანს რომ მოსწავლეების 47 პროცენტი იყენებს მარალს სააზროვნო უნარებს სხვა საგნებში, 33 პროცენტი ამას ნაწილობრივ ახერხებს ხოლო 20 პროცენს კი უჭირს აღნიშნული უნარების გამოყენება.

3.გეგმავთ თუ არა მაღალ სააზროვნო უნარბზე გათვლილ გაკვეთილებს ესგ-დან გამომდინარე



დიაგრამიდან ჩანს რომ მასწვლებლების 67 პროცენტი ხშირად გეგმავს გაკვეთილებს ესგ- სმიხედვით, ხოლო დარჩენილი 33 პროცენტი კი იშვიათად.

- **იყენებთ თუ არა სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს?**



დიაგრამიან ჩანს რომ სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს იყენებს ხშირად 53 პროცენტი მასწავლებლებისა, 40 პროცენტი იშვიათად ხოლო 7 პროცენტი კი არასოდეს.

ამრიგად მოცემული დიაგრამებით პროცენტულად წარმოდგენილი იყო მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების პასუხები დახურულ კითხვებზე, მათი პასუხებიდან იკვეთება რომ მოსწავლეების ნაწილს უჭირს მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენება სხვა საგნების სწავლის დროსაც, რომ მათი გარკვეული ნაწილი არ უთმობს სათანადო დროს სწავლას. ასევე იკვეთება რომ მშობლების ნაწილიც არ აკეთებს თავინთი შვილების აკადემიური მოსწრებების ხშირ მონიტორინგს , რაც აისახება კიდეც მათი შვილის შედეგებზე. ასევე გამოიკვეთა ისიც რომ არიან პედაგოგებიც, რომლებიც გაკვეთილებს ხშირად არ გეგმავენ მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით, რაც სწავლა სწავლების პროცეს უინტერესოს ხდის.

4.2 მონაცემთა ანლიზი

იმისათვის რომ მოსწავლეებიდან, მშობლებიდან და მასწავლებლებიდან მიმეღო რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, რომელიც დამეხმარებოდა ჩემი პრობლემის მოგვარებაში,სტატისტიკური მონაცმების გაცნობის შემდეგ რომლებიც ზემოთ

დიაგრამების სახით წარმოდგენილი იყო დახურულ კითხვებზე დაყრდონით, გავაკეთე მონაცმეთა ანალიზი ღია კითხვების გამოყენებით. რომლებიც შედგენაირად გამოიყურება:

მოსწავლეები: მოსწავლეებმა კითხვაზე დაესახლებინათ საგაკვეთილო პროცესისთვის ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორი, აღნიშნეს რომ ხელისშემშლელი იყო ხშირ შემთხვევაში ერთფეროვანი გაკვეთილების არსებობა, მათ გამოთქვეს სურვილი რომ ტექნოლოგიების გამოყენება უფრო მეტი სიხშირით ყოფილიყო გაკვეთილზე. რაც შეეხება ხელისშემწყობ ფაქტებს მათ აღნიშნეს ის, რომ მასაწვლებლები აქტიურად რთავდნენ მათ ოლიმპიადებსა და პროექტებში, რაც მათ სწავლისადმი მოტივაციას უღვიძებდათ და სწავლის პროცესს უფრო სახალისოს ხდიდა. შემდეგ კითხვაზე თუ რა მიაჩნდათ წარმატება- წარუმატებლოს მიზეზად უმეტესმა დაასახელა დაბალი მოტივაცია და სიზარმაცე. კითხვაზე რამდენად კარგად აღიქვამენ მასწავლებლის ახსნილს, უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა რომ , გებულობენ მათ ახსნილს და ბოლოს კითხვაზე თუ როგორ უნდა დაეხმაროს მათ პედაგოგი, რომ შეძლონ უცხო ენის კარგად სწავლა, მოსწავლეებმა აღნიშნეს რომ კარგი იქნებოდა თუ უფრო ხშირად უყურბდნენ ფილმებს ინგლისურ ენაზე და მოაწყობდნენ დისკუსიებს, რაც შეიძლება ხშირად დაამყარებდნენ კომუნიკაციას ერთმანეთთან და იქნებოდნენ ჩართულები სხვადასხვა პროექტებში.

მშობლები: კითხვაზე რამდენად კარგად ფლობენ თავიანი შვილები ინგლისურ ენას და იყენებენ თუ არა მათ სკოლის გარეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნაწილმა აღნიშნა რომ იყენებენ, ნაწილმა კი ისაუბრა იმაზე, რომ მათ არ აქვთ შესაბამისი ლექსიკური მარაგი და უჭირთ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. კითხვაზე როგორი ტიპის დავალებების შესრულება უფრო უჭირთ თავიანთ შვილებს გამოიკვეთა, რომ უმეტეს ნაწილს უჭირს ესე წერა. ხოლო კითხვაზე რა ფაქტორები უშლით თავიანთ შვილებს ხელს ისწავლონ კარგად, უმეტესმა ნაწილმა დაბალი მოტივაცია დაასახელა. ბოლო კითხვაზე როგორი უნდა იყოს გაკვეთილი, რომ ის საინტერესო აღმოჩნდეს

მათი შვილებისთვის, მშობლების უმეტესმა ნაწილმა აღნიშნა რომ გაკვეთილი უნდა იყოს მოსწავლეთა შესაძლებლობებზე ორინტირებული და სახალისო.

მასწავლებლები: კითხვარის პირველი კითხვიდან როგორი, ტიპის დავალებების შერულბა უჭირთ მოსწავლეებს , მასწავლებლმა აღნიშნეს რომ კლასში ნაწილს უჭირს ისეთი სავარჯიშოების შესრულება რომელიც მოითხოვს, ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას. შემდეგ კითხვაზე თუ სწავლების რა მეთოდებითაა შესაძლბელი აღნიშნული პრობლემის მოგვარება, მასწავლბლებმა აღნიშნეს რომ გაკვეთილზე გამოყენებული უნდა იქნას მრავალფეროვანი აქტივობები, რომლებიც აამაღლებს მოსწავლეებში მაღალ სააზროვნო უნარებს, ხშირ შემთხვევაში ისინი ჩართულნი უნდა იყვნენ პროეტებში, მონაწილებდნენ როლურ თამაშებში და ა. შ. თუმცა კითხვაზე იყენებენ თუ არა ამ მეთოდებს თვითონ ხშირად, აღმოჩნდა რომ იყენებენ მაგრამ არა საკმარისად, რადგან ეს პრობლემა გამოიკვეთა. ბოლო კითხვაზე ხშირად აწყობენ თუ არა სამუშაო შეხვედრებსა და საუბრობენ თუ არა წარმოქმნილ პრობლემებზე პასუხი იყო დიახ, მაგრამ აღნიშნეს ისიც რომ ეს არ იყო საკმარისი, და კარგი იქნებოდა თუ კიდევ უფრო მეტად ითანამშრომლებდენ ერთმანეთთან, ერთმანეთს გაუზიარებდნენ თავიანთ აზრებსა და შეხედულებებს და ერთობლივად დაგეგმავდნენ გაკვეთილებს.

მოსწავლეების, მშობლების და მასწავლებლების კითხვარის დასრულების შემდეგ გადავწყვიტე ჩამეტარებინა ინტერვიუ დირექტორთან, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

4.3 ინტერვიუ დირექტორთან (იხ დანართი 5)

შედეგები: პირველ კითხვაზე თანამშრომლობენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთთან და გეგმავენ თუ არა ერთობლივად გაკვეთილებს, დირექტორმა უპასუხა, რომ თანამშრომლობენ , თუმცა აქვე გამოთქვა სურვილი იმისა, რომ უკეთესი იქნებოდა თუ ამას უფრო ხშირი ხასიათი მიეცემოდა. კითხვაზე იცნობენ თუ სკოლის პედაგოგები

თანამედროვე მოთხოვნებს, დირექტორმა აღნიშნა რომ სკოლის უმეტესი პედაგოგი იცნობს და ცდილობს ფეხი აუწყოს მას. რაც შეეხება რჩევას, თუ რა შეუწყობდა ხელი მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, დირექტორმა აღნიშნა რომ ამისათვის კარგი იქნებოდა მოსწავლეების სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში ჩართვა და ინდივიდუალურად კიდევ უფრო მეტი მუშაობა პრობლემატურ მოსწავლეებთან. კითხვებზე მონაწილეობენ თუ არა პედაგოგები კონფერენციებსა და ტრენინგებში, ხოლო მოსწავლეები ოლიმპიადებსა და პროექტებში, დირექტორმა უპასუხა დიახ, თუმცა აღნიშნა რომ უკეთესი იქნებოდა თუ ამას კიდევ უფრო მეტი სიხშირით მოახერხებდნენ და ბოლო კითხვაზე ხშირად აკეთებდა თუ სწავლა-სწავლების მონიტორინგსა და შეფასებას, დირექტორმა უპასუხა რომ ის ხშირად ესწრება პედაგოგებს გაკვეთილებზე და არ აძლევს მათ მოდუნების საშულებას, თუმცა ეხლა ფიქრობს შეფასებისა და მონიტორინგის ახალი მეთოდების შემუშავებაზე.

4.4 ძირითადი მიგნებები: მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მიგნება:

- მოსწავლეების გაკვეულ ნაწილს უჭირთ ისეთი სავარჯშოების შესრულება, რომლებიც მათგან მოითხოვს მაღალ სააზროვნო უნარებს.
- მოსწავლეების ნაწილს აქვთ დაბალი მოტივაცია და ნაკლებად არის ჩართული საგაკვეთილო პროცესში, რაც აისახება კიდეც მათ აკადემიურ მოსწრებებზე.
- ნაკლებია მშობელთა ჩართულობა თავიანთი შვილების საგანმანათლებლო პროცესში
- საჭიროა გაკვეთილები ხშირად დაიგეგმოს მრავალფეროვანი აქტივობებისა და მეთოდების გამოყნებით , რომ ის სახალისო იყოს მოსწავლეებისთვის.
- მოსწავლეები უფრო მეტი სიხშირით ჩავრთოთ სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებში.

V ინტერვენციები.

5.1 ინტერვენციების მიზანი

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დავგეგმე შემდეგი ინტევრვენციები, რომელთა მიზანიც იყო მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება. ამისათვის პირველ ეტაპზე გამოვიყენე დისკუსია, რომლის მიზანიც იყო მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების , პრობლემის გადაწყვეტის უნარის განვითარება. მოსწავლეები ასევე შეძლებდნენ ნასწავლი ლექსიკური და გრამატიკული მასალის პრატიკაში გამოყენებას. შემოქმედებითი, კრიტიკული და არგუმენტირებული მსჯელობის განსავითარებლად მოსწავლეებს ვაწერინე ესე, რომელშიც მათ უნდა მოეხდინათ საკუთარი პოზიციის დასაბუთება და შესაბამისი არგუმენტებით გამყარება. იმისათვის რომ მოსწავლებში კიდევ ერთხელ განმევითარებინა მაღალი სააზროვნო უნარები დავგეგმე პროექტი, ვინაიდან ეს მეთოდი საშუალებას იძლევა სწავლა სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული, მოსწავლეებს კი კიდევ ერთხელ განვითარებოდათ კვლევითი, შემოქმედებითი , თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარ- ჩვევები. ინტერვენციების დაგეგმვისას გამოვიყენე აგრეთვე როლური თამაში, რომელიც თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი მთავარი მეთოდია და რომელიც სწავლა სწავლების პროცესს საინტერესოსა და სახალისოს ხდის. ანალიტიკური და კრიტიკული უნარის განსავითარებლად მოსწავლეებს ვაყურებინე ფილმი, რომლის მიზანსაც ასევე წარმოადგენდა უცნობი სიტყვების ნაცნობ ელემენტებზე დაყდრდნობით ამოცნობა, რათა მათ კარგად გაეგოთ ფილმის შინაარსი, რომ შემდეგ ემსჯელათ და გამოეხატათ თავიანთი აზრი დასმული საკითხის ირგვლივ.

5.2 ინტერვენციები

ინტერვენცია 1. დიკუსია

  გაკვეთილზე დისკუსიის მეთოდის გამოყენებით შევეცადე მოსწავლეებში გამექატიურებინა მაღალი სააზროვნო უნარები. სწავლებისა და შემეცნების ეს

მეთოდი ცოდნის შეძენისა და განმტკიცების , მასალის მრავალმხრივ დამუშავების და აუდიტორიის წინაშე თავისუფალი მსჯელობის უნარებს ხვეწს. საკლასო დისკუსია დინამიკური, ცოცხალი და სახალისო პროცესია, მოსწავლეები როგორც წესი ხალისით ერთვებიან მასში და უფრო ღრმად განიხილავენ შესასწავლ საკითხს.

გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებს დისკუსიის გამოყენებით დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, იმის შესახებ უნდა ემუშავათ თუ არა თინეიჯერებს. მოეყვანათ არგუმენტები და კონტრარგუმენტები თავიანთი შეხედულებების განსამტკიცებლად.

აქტივობის დაწყებმადე მოსწავლეებს გავაცანი სადისკუსიო საკითხი, რომლის შემდეგაც მოსწავლეები დაჯგუფდნენ ინტერესების მიხედვით, ნაწილი რომელიც ეთანხმედობოდა რომ თინეიჯერებს უნდა ემუშავათ და ნაწილი რომლებიც არ ეთანხმებოდნენ მოცემულ საკითხს. აქტივობის დაწყებამდე მოსწავლეები განვალაგე ისე რომ ადვილად შეძლებოდათ ერთამანეთთან თვალის კონტაქტის დამყარება და შევეცადე კლასში შემექმნა ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატომსფერო. მოსწავლეებს აქტივობის დაწყებამდე გავაცანი დისკუსიის წარმათვის წესები, პროცედურები და დრო. დისკუსიის მსვლელობის პროცესში მოსწავლეებისთვის ვიყავი გეზის მიმცემი, ვაკვირდებოდი და ყურადღებით ვუსმენდი მათ ,რომ არ გადაეხვიათ სადისკუსიო თემიდან, შევეცადე დისკუსია ყოფილიყო კარგად ორგანიზებული .

შედეგი: ამ მეთოდის გამოყენებამ მოსწავლეებს კარგად გააზრებინა აღნიშნული საკითხი, მათ მოახდინეს საკითხის გაგება, გამოყენება, ანალიზი და ბოლოს შეფასება. მოახერხეს სწავლა სხვების მოსაზრებებისა და შეხედულებების საფუძველზე, შეიძინეს საკომუნიკაციო უნარ- ჩვევები და საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცება. დისკუსიიის წარმათვა თან უცხო ენაზე საკმაოდ დიდ ძალისხმევასა და ცოდნას მოითხოვდა მათგან, ვფიქრობ, რომ აღნიშნული აქტივობა დამეხმარა გამომევუშავებინა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარები.

ინტერვენცია 2. ესე

გაკვეთილზე „ computer and internet" მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებისთვის გადავწყვიტე მოსწავლეებისთის დამეწერინებინა არგუმენტირებული ესე სათაურით „ some people say that computers have made life easier and more convenient. Other people say that computers have made life more complex and stressful. What is your opinion? Use specific reasons and examples to support your answer. (ზოგიერთი ადამიანი ფიქრობს რომ ცომპიუტერმა ჩვენი ცხოვრება გახადა მარტივი დამოხერხებული, სხვები ფიქრობენ რომ პირიქით კომპიუტერმა ჩვენი ცხოვრება გახადა რთული და სტრესული. მოიყვანეთ მიზეზები და მაგალითები და განამტკიცეთთქვენი პასუხი).

ჩემი გაკვეთილის მიზანი იყო მოსწავლეებს განვითარებოდათ შემოქმედებითი, კრიტიკული და არგუმენტირებული აზროვნება, მოეხდინათ საკითხის გაგება, ანალიზი, სინთეზი და ბოლოს შეფასება.

წერის დაწყებამდე მოსწავლეებს გავაცანი ესეს სტურქტურა, შეფასების რუბრიკა და განვუსაზღვრე დრო. დასრულების შემდეგ მოსწავლეებთან ერთად , შეფასების რუბრიკის მიხედვით შევაფასე მათი ნაშრომი, თუ რამდენად სწორად მოახერხეს მათ თავიანთი პოზიციის დასაბუთება და ადეკვატური აგრუმენტებით გამყარება. მივუთითე მათ ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

შედეგი: აღნიშნული აქტივობა მოსწავლეებს დაეხმარა სიღრმისეულად გაეაზრებინათ საკითხი, მოეხდინათ მისი შეჯამება და მოეყვანათ დამაჯერებელი არგუმენტები თავიანთი პოზიციების გასამყარებლად. ყოველივე ამან კიდევ ერთხელ შეუწყო ხელი მოსწავლეებში იმ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას რომელიც მოსწავლეებს ესე წერის დროს გამოუმუშავდებათ.

ინტერვენცია 3. პროექტი

პროექტი როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. ის არის კონკრეტული პრობლემის მოგვარებისკენ ან

ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარებას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვას, კვლევას, პრაქტიკულ აქტივობასა და შედეგების წარმოდგენას არჩეული საკითხის შესაბამისად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სწავლა-სწავლება გახდეს აქტიური და მიზანმიმართული. სწორედ ამიტომ აღნიშნული კვლევის ფარგლებში, იმისათის რომ მომეხდინა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვიათარება დავგეგმე სასწავლო პროექტი სახელწოდებით“ მე, როგორც მასწავლებელი“. (იხ დანართი 1)

პროექტის მიზანი იყო მოსწავლეებს შეძლებოდათ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განვითარებოდათ წერის, მოსმენის, თარგმნის, მეტყველების კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი უნარები და მოეხდინათ სოციუმში აქტიურად ჩართვა.

რაც შეეხება პროცესს, პროექტი დაიწყო იმით რომ, ინგლისურის გაკვეთილზე მოსწავლეები გაეცნენ თემას, რომელშიც მასწავლებელს და მოსწავლეებს როლები უნდა გაეცვალათ, ამ იდეამ მოსწავლეები დააინტერესა და წამოვიდა პროექტის იდეა , რომლითაც მოსწავლეები გამოიკვლევდნენ, მასწავლებელთა საქმიანობას, გაიაზრებდნენ იმას თუ რამდენად საპასუხიმგებლო პროფესიაა ის. აწარმოებდნენ კვლევს იმის თაობაზე თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული მასწავლებელი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის. პროექტის სამივე ეტაპზე მოსწავლეები გამოიყენებდენ შესაბამის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლითაც მოახდენდენ მიღებული ინფორმაციის შეჯამებას, საბოლოო სახით ჩამოყალიბებასა და ჩვენებას თანამდეროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტის ბოლოს მოსწავლეები მიმართავდნენ სიმულაციებსაც და თვითონ წარმოგვიდგებოდან მასწავლებლების როლში, ასევე შექმნიდნენ პრეზენტაციას, დაწერედნენ ესეს. პროექტის თითოეული ეტაპის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალების გამოყენებით შექმნიდნენ კედლის გაზეთს. არსებულ ინფრომაციას განათავსებდნენ სკოლის ბლოგზე.

პროექტი დაიწყო მოსწავლის საჭიროებების განმსაზღვრელი შეფასებით, რომლის მიზანი იყო მოსწავლის აპრიორი ცოდნის განსაზღვრა და მათი ინტერესის გაღვივება.

პროექტის განმავლობაში მოსწავლეთა აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევების ხელშეწყობის და მათ მიერ თემატიკის გაგების ხარისხის მონიტორინგისათვის მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობდნენ კითხვარზე და აფასებდნენ შეთავაზებულ საპროექტო ინიციატივას, ამდიდრებდნენ მას საკუთარი იდეებით და განსაზღვრავდნენ საკუთარ როლს პროექტის წარმატებულ განხორციელებაში.

პროექტის დასაწყისში წარვადგინეთ პროექტის რუბრიკა, რათა მოსწავლეებს პროექტზე მუშაობის დაწყებამდე მიეღოთ ინფორმაცია ,მათ მიმართ პროექტის მოლოდინების შესახებ და შეძლებოდათ მუშაობის განმავლობაში თავიანთი პროგრესის კონტროლი. განვსაზღვრეთ დროის ჩარჩო და შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით მოვახდინეთ სამუშაოს გადანაწილება.

შევაფასეთ მოსწავლეების ცოდნა შეკითხვების დასმით და მათი პასუხების სამუშაო ჟურნალებში ჩანიშვნით. პერიოდულად წაივკითხეთ მოსწავლეების ჩანაწერები, სწავლების პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად. მოსწავლეებს ვთხოვე შეევსოთ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანების ჩამონათვალი, რაც დაეხმარებაოდათ მუშაობის დაგეგმვასა და პროგრესის მონიტორინგში. შეხვედრების ორგანიზება მოვაწყვეთ ყოველკვირეულად, ჯგუფების მიერ მიღწეული პროგრესის გაზიარების, თანატოლთა უკუკავშირის, პროდუქტების შეფასების და სხვადასხვა რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად. მოსწავლეებს ვთხოვე გამოეყენებინათ ჯგუფური განხილვის და პრეზენტაციის რუბრიკები. ამობეჭდილი რუბრიკის ფორმა გამოვიყენეთ მოსწავლეების მიერ სამუშაო პროცესის წარმართვის და მოსაზრებების წარმოსადგენად. ვაკვირდებოდი ჯგუფების ყოველდღიურ მუშაობას პროგრესის მონიტორინგის, მათი შეკითხვების გაცნობის და მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. პრეზენტაციის რუბრიკის საშუალებით შევაფასე მათ მიერ საკითხის წარდგენის აქტივობა. გამოვიყენე თემატური რუბრიკა საბოლოო ესეს შესაფასებლად. პროექტის ბოლო ეტაპზე მოსწავლეებმა გადახედეს საწყის ეტაპზე შევსებულ ონლაინ შეფასების ფორმას და გამართეს დისკუსია შესწავლილი საკითხების და სწავლის შემდგომი საჭიროების შესახებ.

შედეგი: ამრიგად აღნიშნული მეთოდმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, დაეხმარა მოსწავლეებს

ასევე წერის, მოსმენის , თარგმნის, მეტყველებისა კომუნიკაციისა უნარების გაუმჯობესებაში. მოსწავლეებმა მოახდინეს ნასწავლი მასალი პრაქტიკაში გამოეყენება.

ინტერვენცია 4. როლური თამაში

სიმულაცია, ანუ როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთ-ერთი ცნობილი მეთოდი არის , რომელიც მოსწავლეთათვის განსაკუთრებით სახალისოს ხდის სასწავლო პროცესს და მათ მაღალ სააზროვნო უნარებს უვითარებს. ამ დროს მოსწავლეები არამხოლოდ გონებრივად არამდე ფიზიკურადაც აქტიურები არიან , მათ საშუალება აქვთ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები და ემოციები რაც ასევე აადვილებს სწავლის პროცესსა და მასალის ათვისება. სწორედ ამიტომ ერთერთი ინტერვენციის დაგეგმვის დროს გამოვიყენე სიმულაციური თამაში რომლის მიზანიც იყო მოსწავლეებში ზეპირი მეტყველების, მოსმენის, საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება. ნასწავლი ლექსიკური ერთეულების პრაქტიკაში გამოყენება.

თამაშის დაწყებამდე შევაცადე მოსწავლეებისთის შემექნა პოზიტიური გარემო, შემდეგ გავაცანი მიზანი, მივეცი ინსტრუქცია და მოსწავლეებთან ერთად შევიმუშავე შეფასების რუბრიკები. თამაშის დაწყებისას მოსწავლეებს დავურიგე სამუშაო ფურცლები და ვთხოვე, ყურადღებით დაკვირვებოდნენ თემატურ ფოტოს, ხოლო შემდეგ კი გამოეთქვათ ვარაუდები თუ რა არის მასზე ასახული და განეჭვრიტათ წინასწარ თუ რის შესახებ შეიძლებოდა ყოფილიყო მოსასმენი მასალა . ამის შემდეგ მოსწავლეებს მოვასმენინე აუდიო ჩანაწერი და ვთხოვე მოკლედ ესაუბრათ იმის შესახებ თუ რაზეა მასში საუბარი, სად ხდება მოქმედება და ვინ არიან მონაწილე პერსონაჟები. მოსწავლეებს უნდა ეპასუხათ ასევე კითხვებზე წერილობით, რომლის სისწორეც შეამოწმეს მეორედ ხელახალი მოსმენისას. ამის შემეგ მოსწავლეებს ვთხოვე შეედარებინათ სურათის აღწერის დროს გამოთმული ვარაუდები ტქსტში მოსმენილისას და ემსჯელათ ვისი ვარაუდი იყო უფრო სწორი. ამის შემდეგ მოსწავლეებს ისევ მოვასმენინე შესაბამისი ინტონაციით წარმოთქმული რჩევისა

დაბრძანები გამომხატველი წიადადებები და ვთხოვე მოსწავლეებს გაერკვიათ და აეხსნათ რომელი წინადადება გამოხატავდა ბრძანებას და რომელი რჩევას. მოსწავლეებმა მოისმინეს ჩანაწერი და აღნიშნეს, რომ რჩევის მიცემის დროს რომელიც ბრძანებითი კილოს ფორმით არის გამოხატული ინტონაცია აღმავალია წინადადების ბოლოს, ხოლო ბრძანების გამოხატვისას აქცენტი კეთდება ზმნაზე. ამის შემდეგი აქტივობა იყო როლური თამაში, მოსწავლეები დავყავი წყვილებად მივეცი ინსტუქცია და მოსამზადბელი დრო, მათ გადაინაწილეს როლები. მოსწავლეებს უნდა გამოეყენeბინათ მოსმენილ ტექსტში შესწავლილი მასალა იმისათვის, რომ წამოედგინათ თავიანთი პრობლემა, მიეღოთ რჩევები, მომზადებინათ კითხვები და შესაძლო პასუხები. ასევე ეფიქრათ ლექსიკურ და გრამატიკულ სიზუსტეზე, ყურადღება მიექციათ რჩევის მიცემის ფორმასა და კითხვის დასმის ტექნიკაზე, ინტონაციაზე. ზეპირად შეედგმათ დიალოგები, გაეარათ რეპეტიცია და განსაზღვრული დროის ამოწურვის შემდეგ კლასის წინაშე გაეთამაშებინათ სცენა. მოსწავლეებმაწარმატებით გაართვეს თავი აღნიშნულ აქტივობა, იყო გარკვეული ხარვეზებიც რომელსაც ვინიშნავდი მსვლელობის პროცესში და მოგვიანებით გავარჩიე მათთან ერთად. მივეცი განმავითარებელი შეფასება რუბრიკის გამოყენებით.

შედეგი: ვფიქრობ აღნიშნული აქტივობა დამეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში, მოსწავლეებმა განივიარეს, მოსმენის, მეტყველების, კომუნიკაციის, ანალიზის სინტეზის უნარები რაც თავისტავად გულისხმობს მოსწავლეებში მარალი სააზროვნო უნარ- ჩვევბის განვითარებას.

ინტერვენცია 5. ფილმის ჩვენება

სასწავლო პროცესში ფილმების გამოყენება მასწავლებლს საშულებას აძლევს სწავლების პროცესი გახადოს მრავალფეროვანი და სახალისო. სწორედ ამიტომ ,იმისათვის რომ მომეხდინა მოსწავლეთა დაინტერესება და აქტიურად ჩაბმა საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეებს ვაყურებინე ფილმი „ბულინგზე“, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალური თემაა მთელ მსოფლიოში. აქტივობის მიზანი იყო მოსწავლეებს პირველ რიგში, ნაცნობ ელემენტებზე დაყდნობით ამოეცნოთ უცხო

სიტყვათა მნიშვნელობები, რათა გაეგოთ ფილმის შინაარსი და შემდეგ არ გასჭირვებოდათ მსჯელობა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

ფილმის ჩვენებამდე მოსწავლეებს გავაცანი გაკვეთილის თემა და მივმართე კითხვით თუ რა იყო ბულინგი? როგორი ტიპის ბულინგებს იცნობდნენ და ყოფილან თუ არა ოდესმე თვითონ ბულინგის მსხვერპლი. ამის შემდეგ მოსწავლეებს ვაყურებინე ფილმი ინგლისურ ენაზე, ფილმის ყურებისას ეტაპობრივად მოსწავლეების დახმარებით ვხსნიდით ახალ სიტყვებს კონტექსტის გამოყენებით და ვაანალიზედით ცალკეულ ფრაგმენტებს. მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი ინტერაქციაში. ფილმის დასრულების შემდეგ მოვაწყვეთ დისკუსია, მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი შეხედულებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იმსჯელეს და მივიდნენ საბოლოო დასკვნამდე.

შედეგი: აღნიშნული მეთოდი დამეხმარა მოსწავლეებს განვითარებოდათ ანალიტიკური და კრიტიკლი აზროვნება, დაესწავლათ ახალი ლექსიკური ერთეულები და ნასწავლ ლექსიკურ და გრამატიკულ ერთეულებზე დაყრდნობით მოეხდინათ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა- დასაბუთება.

5.3 ინტერვენციების შეფასება და შედეგები:

პრობლემების დასაძლევად გამოყენებული ინტერვენციების შედეგად, მოსწავლეებმა მოახერხეს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება ინგლისურ ენაში. აღნიშნული ინტერვენციები დაეხმარათ მოსწავლეებს განვითარებოდათ ანალიტიკური, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარები. დისკუსიის გამოყენებით მათ მოახერხეს მასალის მრავალმხრივ დამუშავება, ნასწავლი ლექსიკური ერთეულების გამოყენებით იმსჯელეს და ჩამოაყალიბეს საკუთარი პოზიციები. არგუმენტირებული მსჯელობის განვითარებას ხელი შეუწყო ესეს წერამ. მოსწავლეებმა გაიაზრეს თემაში მოცემული პრობლემა და დაასაბუთეს თავიანთი აზრი. მოსწავლეებისათის საინტერესო და ძალიან სახალსო აღმოჩნდა პროექტი „ მე, როგორც მასწავლებელი“, რომლის დროსაც ისინი, არამხოლოდ გაეცნენ მასწვლებლის პროფესიას , არამედ

მოახერხეს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, გამოიყენეს ოთხივე მეთოდი წერა, მოსმენა , თარგმნა და მეტყველება, გამოიმუშავეს კვლევითი, შემოქმედებითი , თანამშრომლობითი და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. მოსწავლეებისათვის ძალიან სახალისო აღმოჩნდა სიმულაციური თამაში, რომელიც თანამშრომლობითი სწავლების საუკეთესო ფორმაა, რომლის გამოყენებითაც ისინი ხალისით ჩაერთნენ საგაკვეთილო პროცესში, შედეგად კი განუვითარდათ შემოქმედებითი და კომუნიკაციური უნარები. მოსწავლეებისათის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა გაკვეთილი, რომლზეც ვაჩვენე ფილმი ბულინგზე, აღნიშნული გაკვეთილი მოსწავლეებს დაეხმარათ განვითარებოდათ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, შეესწავლათ ახალი ერთეულები და ნასწავლი გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების გამოყენებით გამოეხატათ თავინთი აზრები.

ვფიქრობ ჩემ მიერ გამხორცილებეული ინტერვენცების შედეგად მოსწავლეებმა მოახერხეს მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება.

VI. რეკომენდაციები და კვლევის შედეგები

6.1რეკომენდაციები

ჩემს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგების და ინტერვენციების შეფასების გათვალისწინებით კოლეგებს მივეცი შემდეგი რეკომენდაციები:

- ითანამშრომლეთ კოლეგებთან , გაუზიაეთ ერთმანეთს თქვენი გამოცდილებები და ერთად დაგეგმეთ გაკვეთილები.
- გაკვეთილების დაგეგმვისას გამოიყენეთ მრავლფეროვანი აქტივობები და მეთოდები, როგორებიც არის მაგალითად (დისკუსია, პროექტი, სიმულაციური თამშები და ა.შ), რომ მოახდინოთ მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება.
- სწორად გამოყენეთ მოსწავლეებთნ განმავითრებელი შეფასება , რაც გაუღვიძბეს მათ საგნისადმი ინტერესსა და აუმაღლებს მოტივაციას.

- ეცადეთ მოსწავლეებს ინფორმაცია მიაწოდოთ მათთვის გასაგებ ენაზე, მარტივიდან რთულისაკენ.
- მიეცით მოსწავლეს საშუალება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი, რომ არ ჰქონდეს შეცდომის დაშვების შიში.
- ჩართეთ მოსწავლეები ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგანმანათელბო პროექტებში.
- იყავით მიუკერძოებლები.

რეკომენდაცია მოსწავლეებთან:

- იკითხეთ რაც შეიძლება მეტი ლიტერატურა ინგლისურ ენაზე.
- აკეთეთ სხვაასხვა ტიპის სავარჯიშოები.
- დაისწავლეთ სიტყვები ინგლისურ ენაზე და შეეცადეთ გამოიყენოთ ნასწავლი მასალა ყოველდღიურ ცხორებაში.
- ტესტის წაკითხვის დროს ეცადეთ გამოყოთ მთავარი და მეორეხარისხოვანი ინფორმაცია.
- არ მოგერიდოთ კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე შეცომების დაშვების მიუხედავად.
- ეცადეთ ხშირად დაამყაროთ ერთმანეთთან კომუნიკაცია.
- უყურეთ ინგლისურ ენოვან ფილმებს.
- ჩაერთეთ ოლიმპიადებსა და სხვადასხვა საგამანათლებლო პროგრამებში.

6.2 კვლევის შედეგი.

კვლევის დაწყების წინ მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში იყო ძალიან დაბალი, ჰქონდათ დაბალი მოტივაცია, მოსწავლებს ჰქონდათ ცოდნა მაგრამ მათგან ნაწილი ვერ ახერხებდა ისეთი სავარჯიშოების შესრულებას, რომლებიც მათგან მოითხოვდა მაღალ სააზროვნო უნარებს, კერძოდ კლასში უმეტეს ნაწილს უჭირდა ესეს წერა, ტექსტის გაგება გააზრება , მსჯელობა და ა.შ.

მოსწავლეთა შედეგები კვლევის დაწყებამდე:



ინტერვენციების ჩატარების შემდეგ მაქსიმალურად მოხდა სასურველი შედეგის მიღწევა, კლასის 80 % უკვე შეუძლია მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში, შეუძლიაესე წერა, მოსმენის გაგება- გააზრება, დისკუსიის წარმათვა, ტექსტი გაგება - გააზრება და ა. შ.



თავი. VII დასკვნა

7.1 დასკვნა

სსიპ სოფელ სორმონის საჯარო სკოლის ინგლისური ენის პედაგოგმა განვახორციელე კვლევა თემაზე „ მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა ინგლისური ენის გაკვეთილზე მე-11 კლასში“. კვლევაში მონაწილეობდა 4 მოსწავლე, 4 მშობელი და 15 მასწავლებელი. ჩემი კვლევის მიზანი იყო მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება. სწორად დაგეგმილმა და განხორციელებულმა ინტერვენციებმა, მოსწავლეთათვის ეფექტურმა უკუკავშირმა, კოლეგებისა და დირექციის თანადგომამ შედეგი გამოიღო. სწავლა- სწავლების პროცესში მაქსიმალურად იქნა აღმოფხვრილი ის პრობლემები რაც შეეხებოდა მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენებას ინგლისურ ენასა და ლიტერეატურაში. ინტერვენციების შეფასების, შედეგებისა და შემდგომი დაკვირვების საფუძველზე შემიძლია დავასკვნა, რომ მოხდა პრობლემის სწორად იდენტიფიცირება და მისი

ნაწილობრივ აღმოფხვრა. კვლევის პროცესი იყო საინტერესო და ორინეტირებული თანამშრომლობითი უნარების განვითარებაზე, როგორც მოსწავლეებთან ასევე მასწავლებლებთან.

7.2 კოლეგებთან გაზიარება

ამა წლის 11 ივნისს ჩემი კვლევის ანგარიში წარვუდგინე კოლეგებს სკოლის ბაზაზე. პრეზენტაციისთვის გამოვიყენე PowerPoint-ში აწყობილი სლაიდი . კოლეგები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს კვლევის შედეგად მიღებულ სტატისტიკას. შეხვედრა ჩატარდა საქმიან გარემოში. კოლეგებმა მოიწონეს ინტერვენციები, რომლებიც განვახორციელე კვლევის პროცესში. მომცეს დადებითი შეფასება. მასწავლებელემა დამისვეს შემდეგი შეკითხვები:

- რა დრო დაჭირდა კვლევის პროცესს?
- რა მოგცა კვლევამ?
- რა ინტერვენციები განახორციელეთ?
- რომელი ინტერვენცია დაგეხმარა ყველაზე მეტად აგემაღლებინა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარები ?

ბიბლიოგრაფია

1. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/mimdinare-esg-2011-2016- ეროვნული სასწავლო გეგმა 2011-2016 წლები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2. „სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

3. .„უცხოური ენების საფუძვლები“ December 2014 *with* 6,068 Reads Publisher: ISBN 978-9941-18-214-3 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

4. „როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება“ მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო თბილისი 2007

5. განვითარებისა და სწავლების თეორიები- ავტ. ნ.ჯანაშია, ნ.იმედაძე, ს.გორგოძე გამომცემლობა- მასაწვლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011წელი.

6. სწავლება და შეფასება -- ავტ. რ. ტყემალაძე, ნ.დალაქიშვილი, ქ. თოფაძე გამომცემლობა- მასაწვლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011წელი.

7. http://mastsavlebeli.ge/?p=2237 -- თეო ჭყოიძე „აზროვნება საკთარი აზროვნების შესახებ“ 11 ოქტომბერი, 2013 წელი.

8. http://mastsavlebeli.ge/?p=1934 -- დავით ბოლქვაძე "XXI -ე საუკუნის უნარები" 15 აგვისტო.

9. http://mastsavlebeli.ge/?p=2361- სოფიკო ლობჟანიძე „ სოკრატეს როლი, თანამედროვე პედაგოგიური აზროვნების ჩამოყალიბებაში" 22 მაისი, 2013 წ.

10. http://mastsavlebeli.ge/?p=12808 - ცვატა ბერძენიშვილი „ მოსწავლეთა აზროვნების განვითარება" 12 იანვარი. 2017.

დანართი 1.

სასწავლო პროექტის გეგმა

სასწავლო პროექტის ავტორი	
სახელი, გვარი	ანა ქობულაძე
ქალაქი/რაიონი/დაბა, სოფელი	წყალტუბო
სკოლა	სსიპ. სოფელ სორმონის საჯარო სკოლა
პროექტისმონახაზი	
პროექტისდასახელება	
„მე, როგორც მასწავლებელი"	
პროექტის შინაარსი	

მოსწავლეები გამოიკვლევენ, მასწავლებელთა საქმიანობას, გაიაზრებენ იმას თუ რამდენად საპასუხიმგებლო პროფესიაა ის. აწარმოებენ კვლევს იმის თაობაზე თუ როგორი უნდა იყო წარმატებული მასწავლებელი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის. პროექტის სამივე ეტაპზე მოსწავლეები გამოიყენებენ შესაბამის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს, რომლითაც მოახდენენ მიღებული ინფორმაციის შეჯამებას, საბოლოო სახით ჩამოყალიბებასა და ჩვენებას თანამდეროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტის ბოლოს მოსწავლეები მიმართავენ სიმულაციებსაც და თვითონ წარმოგვიდგებიან მასწავლებლების როლში, ასევე შექმნიან პრეზენტაციას, დაწერენ ესეს. პროექტის თითოეული ეტაპის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალის გამოყენებით შექმნიან კედლი გაზეთს. არსებულ ინფრომაციას განათავსებენ სკოლის ბლოგზე.
საგანი/საგნები
ინგლისური
საფეხური/კლასი
11-ე კლასი
პროექტის განხორციელების დრო
3კვირა
პროექტის საფუძვლები
საგნობრივი სტანდარტები
უცხ.ს.VI.10. მოსწავლეს შეუძლია დაწეროს სხვადასხვა სახის ესე აქტუალურ თემაზე/საკითხზე*(მაგ., მოსწავლე და მობილური ტელეფონი, მოსწავლეთა დამოკიდებულება სკოლის მიმართ, უცხოური ენების სწავლა და სხვა).* შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე: ✓ დეტალურადაღწერსსაკუთარგამოცდილებასკონკრეტულსაკითხთანმიმართებაში; ✓ გამოკვეთსდადებითდაუარყოფითასპექტებს/მხარეებსდაგანმარტავსმათ, მოაქვსსათანადომაგალითები; ✓ გამოხატავსსაკუთარდამოკიდებულებასსაკითხისადმი; ✓ გამოაქვსდასკვნა;

- ✓ წერისასიცავსაზრობრივთანამიმდევრობას;
- ✓ მკაფიოდდაგასაგებადაყალიბებსაზრს.

უცხ.ს.VI.13. მოსწავლესშეუძლიამონაწილეობამიიღოსინტერაქციაშიმისთვისნაცნობთემატიკაზე.

შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე:

1. მოუმზადებლადახერხებსინფორმაციისგაცვლასმისთვისკარგადნაცნობთემატიკაზე;
2. ამათუიმსაკამათოსაკითხთანდაკავშირებითმომზადებისგარეშეგამოხატავსსაკუთარდამოკიდებულებას, პოზიციასდაგანმარტავსმას*(რამოწონს/არმოსწონს, რატომ)*;;
3. გამოხატავსსაკუთარემოციებს, განწყობილებას;
4. აფასებსმოვლენებს, ფაქტებს, ქცევებსსაკუთარიპოზიციიდან;
5. იღებს/იძლევაინტერვიუსაქტუალურსაკითხზე.

უცხ.ს.VI.14. მოსწავლესშეუძლიათავიგაართვასყოფითსაკომუნიკაციოსიტუაციას.

შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე:

- ✓ მომზადებისგარეშემონაწილეობსროლურთამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში, რომლებიცჩვეულყოფითსიტუაციასასახავს;
- ✓ წინასწარიმომზადებისსაფუძველზემონაწილეობსისეთსიმულაციურსიტუაციებში, რომლებიცმოულოდნელ, უჩვეულო სიტუაციასასახავს, რომლისდროსაცსაჭიროხდებათავისგამართლება, გაპროტესტება

მონოლოგურიმეტყველება

უცხ.ს.VI.16.მოსწავლესშეუძლიაწარმოადგინოსზეპირიმოხსენება (*პრეზენტაცია*) აქტუალურისაკითხის, პრობლემისგარშემო.

შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე:

- ასახელებსთემას;
- შესავალნაწილშიწარმოადგენს, გამოკვეთსპრობლემას;
- გამოკვეთსპრობლემისგამომწვევმიზეზებს;
- მოჰყავსფაქტები, მაგალითები;
- საუბრისასიყენებსვიზუალურმასალას;
- გამოხატავსთავისდამოკიდებულებასკონკრეტულიინფორმაციისადმი/ განსახილველისაკითხისადმი;
- წარმოადგენსპრობლემისგადაჭრისგზებს;
- გამოაქვსდასკვნა;
- საუბრისასიცავსაზრობრივთანამიმდევრობას;
- მკაფიოდდაგასაგებადაყალიბებსაზრს.

უცხ.ს.VI.20. მოსწავლესშეუძლიაუცხოურიენისცოდნის საგანმანათლებლომიზნითგამოყენება.

შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე:

- უცხოურენაზეგანახორციელებსსხვადასხვატიპისპროექტს *(მაგ.,უცხოურენაზეგაზეთისშექმნადაგავრცელება; შეხვედრისმოწყობახელოვანთან; ვებგვერდისშექმნადასხვა*);
- აკეთებსუცხოენოვანიტექსტისჩანაწერებსდამასზედაყრდნობითსწავლებისენაზეზეპირად გადმოსცემსტექსტისმოკლეშინაარსს,ანწერსრეზიუმესდაინტერესებულიპირებისთვის (*მაგ., თანაგუნდელებისთვის*);

პროექტის სასწავლო მიზნები/სწავლის შედეგები

პროექტზე მუშაობის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ ✓ შემოქედებითი იდეების პრაქტიკულ გამოცდას ინოვაციურ სფეროში. მასში ეფექტური და ინოვაციური წვლილის შეტანას. • საერთო მიზნების მისაღწევად საჭირო კომპრომისისთვსი მზადყოფნისა და მოქნილობის დემოსტრირებას. • პასუხისმგებლობების გაზიარებას მუშაობის პროცესში. • ინფორმაციის ეფექტურად და ეფექტიანად მოპოვებას.კრიტიკულ და კომპეტენტურ შეფასებას. ინფორმაციის ზუსტან და შემოქმედებიტად გამოყენებას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. • განსხვავებულ როლებტან და პასუხისმგებლობებთან ადაპტაციას ✓ გაურკვეველ სიტუაციებისა და პრიორიტეტების გარემოში ეფექტურად მუშაობას.	
მიმართულების მიმცემი საკვანძო კითხვები	
ზოგადი კითხვა	როგორია განათლების სისტემა დღეს?
თემატური კითხვები	რამდენად რთულია იყო კარგი მასწავლებელი? როგორი უნდა იყოს კარგი მასწავლებელი?
შინაარსობრივი კითხვები	რა თვისებები უნდა გააჩნდეს მასწავლებელს? როგორ უნდა ატარებდეს გაკვეთილს? როგორ უნდა დააინტერესოსმოსწავლეები?

	რა სტრატეგიებს უნდა მიმართოს მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩასართვად?

შეფასების გეგმა		
შეფასების დროის ჩარჩო(შეფასების სტრატეგიები)		
პროექტის მსვლელობის ეტაპები	**შეფასების მეთოდ(ებ)ი**	**შეფასების საშუალება/ინსტრუმენტ(ებ)ი**
პროექტის დასაწყისში	ვიცი -მინდა ვიცოდე-ვისწავლე დიაგრამა	ჟურნალი
პროექტის მსვლელობისას	თვითშეფასება და რეფლექსია ჯგუფებზე დაჯვირვება არაფორმალური დაკვირვება და შემთხვევების ჩანაწერები	ჩეკლისტები მინიშნებები რეფლექსიები ჩანიშვნები შეგროვებულ ინდივიდულაურ ან ჯგუფურ საქაღალდეში
პროექტის დასრულების შემდეგ	ესეები	პრეზენტაციები

		სიმულაციები
შეფასების მოკლე მონახაზი		
პროექტი იწყება [მოსწავლის საჭიროებების განმსაზღვრელი შეფასებით](), რომლის მიზანია მოსწავლის აპრიორი ცოდნის განსაზღვრა და მათი ინტერესის გაღვივება.პროექტის განმავლობაში მოსწავლეთა აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევების ხელშეწყობის და მათ მიერ თემატიკის გაგების ხარისხის მონიტორინგისათვის მოსწავლეები ინდივიდუალურად მუშაობენ კითხვარზე და აფასებენ შეთავაზებულ საპროექტო ინიციატივას, ამდიდრებენ მას საკუთარი იდეებით და განსაზღვრავენ საკუთარ როლს პროექტის წარმატებულ განხორციელებაში. პროექტის დასაწყისში წარადგინეთ პროექტის რუბრიკა, რათა მოსწავლეებმა პროექტზე მუშაობის დაწყებამდე მიიღონ ინფორმაცია ,მათ მიმართ პროექტის მოლოდინების შესახებ და შეძლონ მუშაობის განმავლობაში თავიანთი პროგრესის კონტროლი. რუბრიკა პროექტის კვლევის და პრეზენტაციის კომპონენტების შეფასების მთავარი მეთოდია. იგივე რუბრიკა გამოიყენება პროექტის ბოლოს საბოლოო პრეზენტაციის შეფასებისათვის. მოსწავლეებს ჯგუფური სამუშაოს რუბრიკაც გაუზიარეთ, რათა გაიგონ, თუ რა მოლოდინი არსებობს ჯგუფური მუშაობის პროცესში. პროექტზე მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად იგივე რუბრიკა უნდა გამოიყენონ. შეაფასეთ მოსწავლეების ცოდნა შეკითხვების დასმით და მათი პასუხების სამუშაო ჟურნალებში ჩანიშვნით. პერიოდულად წაიკითხეთ მოსწავლეების ჩანაწერები, სწავლების პროცესში შესაბამისი ცვლილებების შესატანად. მოსწავლეებს სთხოვეთ შეავსონ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი ამოცანების ჩამონათვალი, რაც დაეხმარებათ მუშაობის დაგეგმვასა და პროგრესის მონიტორინგში. ,,სახელმწიფო ჯგუფების“ შეხვედრების ორგანიზება მოაწყეთ ყოველკვირეულად, ჯგუფების მიერ მიღწეული პროგრესის გაზიარების, თანატოლთა უკუკავშირის, პროდუქტების შეფასების და სხვადასხვა რეკომენდაციების უზრუნველსაყოფად. სთხოვეთ მოსწავლეებს, გამოიყენონ ჯგუფური განხილვის და პრეზენტაციის რუბრიკები. ამობეჭდილი რუბრიკის ფორმაგამოიყენეთმოსწავლეების მიერ სამუშაო პროცესის წარმართვის და მოსაზრებების წარმოსადგენად. დააკვირდით ჯგუფების ყოველდღიურ მუშაობას პროგრესის მონიტორინგის, მათი შეკითხვების გაცნობის და მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრის მიზნით. პრეზენტაციის რუბრიკის საშუალებით შეაფასეთ გუნდების მიერ საკითხის ჯგუფური წარდგენის აქტივობა. გამოიყენეთ თემატური რუბრიკასაბოლოო ესეს		

შესაფასებლად. მოსწავლეებს სთხოვეთ ისარგებლონ ჯგუფური განხილვის რუბრიკით გუნდური მუშაობის და ჩართულობის შესაფასებლად. პროექტის ბოლო ეტაპზე მოსწავლეები გადახედავენ საწყის ეტაპზე შევსებულ ონლაინ შეფასების ფორმას და გამართავენ დისკუსიას შესწავლილი საკითხების და სწავლის შემდგომი საჭიროების შესახებ.

სხვა საკითხები

წინარეცოდნა

- პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეებს უნდა ქონდეთ საინფორმაციო სივრცეში ორიენტაციისა და დამოუკიდებელი სწავლის უნარ-ჩვევები, ასევე - ანალიტიკური, შემოქმედებით და კრიტიკული აზროვნების უნარები.
- წერილობითი და ზეპირი ფორმით სამიზნე ენაზე კითხვის, მასალების ინტერპრეტირების და მოსაზრებების ინფორმაციის შესწავლის და სინთეზირების უნარი;
- ეფექტური პრეზენტაციების მომზადების უნარი;

1. შეკრული, ეფექტური ესეს წერის უნარი.

- საბაზისო კომპიუტერული უნარ-ჩვევები. (*word, excel, powerpoint, print)*

სასწავლო პროცედურები

საბაზისო ცოდნის შემოწმება და გამყარება

ინგლისური ენის გაკეთილზე, მოსწავლეები გაეცნენ თემას რომელშიც, მასწავლებბლებსა და მოსწავლეებს თავიანთი როლები ჰქონდათ გაცვლილი, ამ იდეამ მოსწავლეები დააინტერესა და მათგან წამოვიდა ინიციატივა შეექმნათ პროექტი.

პროექტსი საწყის ეტაპზე მოსწავლეთა წინარე ცოდნის დასადგენად ვიყენებ 1,6,5,3 მეთოდს, ასევე თითოეულ მოსწავლეს ვურიგებ კითხვარს, რომელზეც ინდივიდუალურად მუშაობენ , აფასებენ საპროექტო ინიციატივას, ამდიდრებენ მათ საკუთარი იდეებით და და განსაზღვრავენ თავიანთ როლს პროექტის წარმატებით განხორციელებაში.

პროექტის დაგეგმვა.

ყოველივე ამის შემდეგ იმართება მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი დისკუსია, რომელიც სრულდება პროექტის გეგმის შექმნით. ამგვარად შემუშავებული პროექტის გეგმაში ჩართულია ყველა მოსწავლე, მაქსიმალუად არის გათვალისწინებული მათი აზრი, რაც საბოლოოდ ზრდიდს მათ პასუხისმგებლობას და უმაღლებს მათს წავლის მოტივაციას.

ამის შემდეგ მოსწავლეები თანხმდებიან ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმაზე. განსაზღვრავენ დროის ჩარჩოს და ამ დროს სხვადასხვა აქტივობებზე ანაწილებენ.

მოსწავლეები ასევე თანხმდებიან სამუშაოს ჩარჩოებზე- შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით ინაწილებენ სამუშაოს;

პროექტის გაცნობა.

პროექტის შემდეგ საფეხურზე მოსწავლეები აკეთებენ ბუკლეტს რომელშიც, მოკლედ და გასგებად აყალიბებენ პროექტის მთლიანი პროცესის შესახებ ინფორმაციას და ამ გზით აცნობენ სხვებს თავიანთი პროექტის შესახებ.

პროექტში შესასრულებელი პრაქტიკული საქმიანობები.

პროექტის მესამე დღეს მოსწავლეები გადადიან უკვე პრაქტიკულ საქმიანობაზე, ისინი ინაწილებენ როლებს და ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს.

მოსწავლეები 10 დღის განმავლობაში მასწავლებლებიდან იღებენ ინტერვიუებს, აკვირდებიან მათ ყოველდღიურ რეჟიმს, აკეთებენ ჩანაწრებს, იმის შესახებ თუ როგორია მათი ყოველდღიური ცხოვრება, რა დროს უთმობენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას და რა დრო რჩებათ დანარჩენი საქმიანობისთვის, არიან თუ არა განსხვავებულები სკოლის გარეთ და ა. შ. ყოველი დღის დასრულრბის შემდგე ისინი იკრიბებიან აჯამებენ ყველა ინფორმაციას რაც ხელთ აქვთ, გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, აწარომებენ ყოვედღიურ ღიურს, რომელიშიც ინიშნავენ ყველა ინფორმაციას და აკეთებენ დასკვნებს.

ყოველი ამოცანის შესრულების შემდეგ წერენ ანაგარიშს და ათავსებენ მათ შესაბამის საქაღალდეში.

კვლევის დაწყება

პროექტის შუა საფეხურზე მოსწავლეები ატარებენ კვლევას იმის თობაზე თუ როგორი უნდა იყოს წარმატებული მასწავლებელი და რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის, მოსწავლეები აწარმოებენ გამოკითხვას 100 ბავშვზე. მიღებულ ინფორმაციას კი გამოსახავენ გრაფიკულად და ინიშნავენ შესაბამის საქაღალეში. კველვას თან ერთვის მასწავლელის მიერ შექმნილი შეფასების კითხვარი. კვლევის შემდეგ მოსწავლეები მართავენ დისკუსიას და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს.

სიმულაციები.

პროექტის ბოლო ფაზაზე მას შემდეგ რაც ისინი ამომწურავად მიიღებენ ყველა იმ კითხვაზე პასუხს რაც აინტერესებდათ , მოსწავლეები მიმართავენ სიმულაციებს. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ისინი აყალიბებენ იმ თვისებებს რაც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს და უმატებენ იმას რაც თვითონ სურთ რომ მასწავლებლებმა იცოდნენ. ამის გამო ისინი თვითონ წარმოგვიდგებიან 1 კვირის განმავლობაში პედაგოგებად, შეძლებენ გაიზარონ ის პასუხისმგებლობები რაც მათ აკისრიათ და თავიანთ პედაგოგებს ერთი კვირის განმავლობაში ჩაუტარებენ გაკვეთილებს სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით, რომელის არანაირ კავშირში არ არის ე.ს.გ სთან, თუმცა მოსწავლეები ფიქრობენ რომ ამ უნრებსაც უნდა ფლობდნენ მასწავლებლები რათა გაიგონ ის სურვილები და ინტერესები რაც მათ მოსწავლეებს აქვთ.

პროექტის დასკვნითი ნაწილი

პროექტის დასკვნით ნაწილში მოსწავლეები გააკეთებენ პრეზენტაციას, დაწერენ ესეს „ მე- როგორც მასწავლებელი“ და არსებლი ინფორმაციის საფუძველზე შექმნიან კედლის გაზეთს. ყოველივე ამ პტროექტის ამსახველ მასალას განათავსებენ სკოლის ბლოგზე.

შეფასებები.

პროექტს ასევე თან დაურთავენ ჯგუფის მუშაობის მეტა ანალიზს, რომელსაც პროექტის განმავლობაში ვიყენებდით, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთ შეფასების კითხვარს. მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტის შეფასების კითხვარს და მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა შეფასების სქემას. პრეზენტაციისა და კვლევის შეფასების კითხვარს.

სასწავლო პროექტისთვის საჭირო რესურსები		
აპარატურული უზრუნველყოფა		
☑ კომპიუტერ(ებ)ი	☑ მეხსიერების ბარათი/ჩიპი	☐ მობილური ტელეფონი
☑ ფოტო/ვიდეო კამერა	☑ პრინტერი	☑ ინტერნეტკავშირი
☑ პროექტორი	☑ სკანერი	☐ ვიდეოკონფერენციის მოწყობილობა
☐ ლაზერული დისკი /ჩიპი	☐ ტელევიზორი	☐ სხვა ----------
პროგრამული უზრუნველყოფა *(მონიშნეთ, რომელსაც პროექტის ფარგლებში გამოიყენებთ)*		
☐ ტექსტური რედაქტორი	☑ ელ. ფოსტა	☐ ვებედიტორი
☑ ელ.ცხრილები	☑ ვიდეო/აუდიო რედაქტორი	☐ ტესტირების პროგრამა
☑ გრაფიკული რედაქტორი	☐ საგამომცემლო პროგრამა	☑ ბლოგი
☑ საპრეზენტაციო პროგრამა	☐ ელ. ენციკლოპედია	☐ სხვა ----------
☐ ვებბრაუზერი	☐ ელ. კითხვარი	

ბეჭდური მასალები	ეროვნული სასწავლო გეგმა. მასწავლებელთა პროფესიული სტადანრტი.
ინვენტარი/მასალები	ქლიფჩარტი. ფლომასტერი.ფოტოები
ინტერნეტრესურსები	http://www.mastsavlebeli.ge http://www.naec.ge/ http://tpdc.gov.ge/ http://ncp.ge/
სხვა რესურსები	

დანართი 2.

კითხვარი მოსწავლეებისთვის

ძვირფასო მოსწავლეებო,

წინამდებარე კითხვარის მიზანია დავადგინო ფლობთ თუ არა კითხვის, წერის, მოსმენის, საუბრის სათანადო უნარ- ჩვევებს და რა დონეზე შეგიძლიათ მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენება ინგლისურში. მიღებული მონაცემები მე,როგორც მასწავლებელს დამეხმარება ავამაღლო თქვენში მაღალი სააზროვნო უნარები, რათა არ გაგიჭირდეთ ისეთი სავარჯიშოების შერულება, როგორიც არის არგუმენტირებული ესე, საქმიანი წერილის წერა, წაკითხულის გაგება გააზრება და ა.შ. კითხვარი ანონიმურია და გთხოვთ გულწრფელად უპასუხოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას გაწეული თანამშრომლობისთვის!

1. რამდენ დროს უთმობთ სახლში სწავლას?

   ა. 1 საათი

ბ. 1 საათზე ნაკლები

გ. 1 სათზე მეტი

2. რამდენად ხშირად გეხმარებათ ვინმე სკოლის გარეთ მეცადინეობაში?

ა. ხშირად

ბ. იშვიათად

გ. არასოდეს

3. იყენებთ თუ არა სკოლაში მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში?

ა. ხშირად

ბ.არასოდეს

გ. იშვიათად

4. როგორი ტიპის დავალებები გიჭირთ?

ა.კითხვაზე პასუხი

ბ.თემის შინაარსი

გ. არგუმეტირებული ესე

5. დაასახელეთ საგაკვეთილო პროცესისთვის ხელისშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები.

6. რა მიგაჩნიათ თქვენი წარმატება-წარუმატებლობის მიზეზად?

7. რამდენად კარგად აღიქვამთ მასწავლებლის ახსნილს?

8. თქვენი აზრით როგორ უნდა დაგეხმაროთ პედაგოგი, რომ მარტივად შეძლოთ ინგლისური ენის შესწავლა?

დანართი 3

კითხვარი მშობლებისთვის

ძვირფასო მშობლებო,

წინამდებარე კითხვარი , რომელიც შედგება 4 ღია და 4 დახურული შეკითხვისგან დამეხმარება დავადგინო ფლობს თუ არა თქვენი შვილები, კითხვის, წერის, მოსმენის, საუბრის სათანადო უნარ- ჩვევებს და რა დონეზე შეუძლიათ მაღალი სააზროვნო უნარების გამოყენება ინგლისურში. მიღებული მონაცემები მე,როგორც მასწავლებელს ,დამეხმარება ავამაღლო მათში მაღალი სააზროვნო უნარები, არ გაუჭირდეთ ისეთი სავარჯიშოების შესრულება როგორიც არის არგუმენტირებული ესე, საქმიანი წერილის წერა, წაკითხულის გაგება გააზრება და ა.შ. სწავლა-სწავლების პროცესი მათთვის გავხადო ხალისიანი და ეფექტური. კითხვარი ანონიმურია და გთხოვთ გულწრფელად უპასუხოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას გაწეული თანამშრომლობისთვის!

1. მოგმართავთ თუ არა თქვენი შვილი დავალების შესრულებისას დახმარების თხოვნით?
   ა. ხშირად
   ბ. იშვიათად
   გ. არასოდეს
2. რამდენ დროს უთმობს თქვენი შვილი სახლში ინგლისურის მეცადინეობას?
   ა. 1 საათი
   ბ. 1 საათზე მეტი
   გ. 1 საათზე ნაკლები

3. რამდენად ხშირად ერთვება თქვენი შვილი პედაგოგების მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებში?

   ა. ხშირად

   ბ.ნაწილობრივ

   გ. არასოდეს

4. რამდენად ხშირად უკეთებთ თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებებს მონიტორინგს?

   ა. ხშირად

   ბ. იშვიათად

   გ. არასოდეს

5. თქვენი აზრით რამდენად კარგად ფლობს თქვენი შვილი ინგლისურ ენას და იყენებს თუ არა მას სკოლის გარეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში?
6. როგორ ფიქრობთ როგორი ტიპის დავალებების შესულება უფრო უჭირს თქვენ შვილს?
7. შეგიძლიათ თუ არა დამისახელოთ ის ფაქტორები რაც ხელს უშლის და უწყობს მას კარგად სწავლაში?
8. როგორ ფიქრობთ , როგორი უნდა იყოს გაკვეთილი რომ ის იყოს საინტერესო თქვენი შვილისათვის და რა განაპირობებს მის წარმატებას კონკრეტულ საგანში?

დანართი 4. კითხვარი მასწავლებლებისთვის

ძვირფასო კოლეგებო,

წინამდებარე კითხვარი მიზანია, მივიღო ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი თქვენს საგნებში 11-ე კლასში, რამდენად

კარგად ართმევენ თავს მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილ აქტივობებს და გაქვთ თუ არა თქვენც იგივე პრობლემა რაც. მე. თქვენს მიერ მოწოდებული პასუხები და რჩვები დამეხმარება კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში. კითხვარი ანონიმურია და გთხოვთ გულწრფელად უპასუხოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას გულწრფელი თანამშრომლობისათის!

1.აქტიურად არიან თუ არა მოსწავლეები თქვენს საგნებში ჩართული საკლასო და საგანმანათლებლო აქტივობებში?

ა. დიახ

ბ. არა

გ.ნაწილობრივ

2.ფლობენ თუ არა მოსწავლეები მაღალ სააზროვნო უნარებს თქვენს საგნებში?

ა. დიახ

ბ. არა

გ. ნაწილობრივ

3.გეგმავთ თუ არა მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილ გაკვეთილებს ე.ს.გ-დან გამომდინარე?

ა. ხშირად

ბ.იშვიათად

გ. არასოდეს

4. იყენებთ თუ არა სწავლების მრავალფეროვან სტრატეგიებს?

ა. ხშირად

ბ.იშვიათად

გ.არასოდეს

5.როგორი ტიპის დავალებების შერულება უჭირთ მოსწავლეებს თქვენს საგანში?

6.რომელ სტრატეგიებსა და მეთოდებს იყენებთ მოსწავლეებში მაღალი სააზრონო უნარების განსავითარებლად?

7. თქვენი აზრით სწავლების როგორი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის მოგვარვება?

8.ხშირად აწყობთ თუ არა სამუშაო შეხვდრებს პედაგოგებთან რომ ისაუბროთ წარმოქმნილლ პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე? უზიარებთ თუ არა ერთმანეთს თქვენ გამოცდილებასა და რჩევებს?

დანართი 5. ინტერვიუ დირექტორთან

- თანამშრომლობენ თუ არა თქვენი სკოლის პედაგოგები ერთმანეთთან და გეგმავენ თუ არა ერთად გაკვეთილებს?
- იცნობენ თუ არა თანამედროვე მოთხოვნებს?
- ხომ ვერ მომცემდით რაიმე რჩევას ჩემი კვლევის თემიდან გამომდინარე, რომელიც ეხება მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას მე-11 კლასში.
- რა მექანიზმები არსებობს სკოლაში , რომლითაც პედაგოგები მოახერხებენ კვალიფიკაციის ამაღლებას?
- მონაწილეობს თუ არა თქვენი სკოლის პედაგოგები განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და კონფერენციებში?
- არიან თუ არა თქვენი სკოლის მოსწავლეები ჩართულები სასკოლო ოლიმპიადებსა და სხვადასხვა თემატიკის პროექტებში?
- ხშირად აკეთებთ თუ არა სწავლა- სწავლების მონიტორინგსა და შეფასებას თქვენ სკოლაში?

რეფლექსია

სსიპ სოფელ სორმონის საჯარო სკოლაში ჩავატარე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თემაზე: „ მაღალი სააზროვნო უნარების განვითრების ხელშეწყობა ინგლისური ენის გაკვეთილზე მე-11 კლასში“.

ჩემი კვლევის მიზანი იყო დავკვირვებოდი და დამედგინა თუ რა იყო პრობლემის გამომწვევი მიზეზი, რაც ხელს უშლიდა საშუალო საფეხურის მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას.

კვლევა განხორციელდა 2018-2019 სასწავლო წელს და გრძელებოდა 8 თვის მანძილზე. კვლევის მანძილზე მოვახდინე მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა ანონიმური ანკეტირება და ინტერვიუ დირექტორთან. დავამუშავე სხვადასხვა ლიტერატურა. კვლევის შედაგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დავგეგმე და განვახორციელე სხვადასხვა საჭირო ინტერვენცია.

მოსწავლეებისთვსის საინტერესო აღმოჩნდა სასწავლო პროექტი და სიმულაციური თამაშები, ასევე ფილმის ყურება და გარჩევა, დისკუსია და არგუმენტირებული ესეს წერა, ყოველივე ეს ძალიან დაეხმარა მოსწავლეებს განვითარებოდათ თანამშრომლობითი, შემოქმედებითი, ანალიტიკური, კრიტიკული და არგუმნეტირებული მსჯელობის უნარი. აღნიშნულმა აქტივობებმა უმეტესწილად მოახერხა მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, კლასის უმეტეს ნაწილს აღარ უჭირს არგუმენტირებული ესე წერა, ტექსტის გაგება- გააზრება, დისკუსია და ა.შ

გამოყენებულმა მეთოდებმა და სტრატეგიებმა ნათელყო, რომ შედეგი დადებითი იყო შეიძლებოდა ჩატარებული კვლევის კოლეგებთან გაზიარება.

2019 წლის 11 ივნისს მოვახდინე კვლევის შედეგების პრეზენტაცია. კვლევის შედეგების გაზიარება საინტერესო აღმოჩნდა კოლეგებისათვის. ისინი დაინტერესდნენ ლიტერატურით, რესურსებითა და მიღებული შედეგებით. კოლეგებმა დადებითად მიიღეს ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა, მიიჩნევენ , რომ თვითონაც განახორციელებენ საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას, რაშიც

მათ ჩემი გამოცდილება აუცილებლად დაეხმარებათ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც ,რომ კვლევის წარმოებისას ცხადია წავაწყდი სირთულეებსაც, რადგან ამ კუთხით ჩემი კომპეტენცია არ მაძლევდა შედეგების ანალიზისა, თუ განსახორციელებელი ინტერვენციების სიღრმისეულად წვდომის საშუალებას, თუმცა კოლეგებთან თანამშრომლობით, ტრენერებთან ხშირი კომუნიკაციითა და ინტერნეტრესურსების დახმარებით მაინც შევძელი დასახული მიზნის მიღწევა. მინდა თამამად ვთქვა, რომ კოლეგიალობა და პოზიტიური დამოკიდებულებები, ნებისმიერი საქმიანობის წარმატებით დაგვირგვინების გარანტიაა.